სსიპ - ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლას 2025 წლის 1 ოქტომბრის N 1კ-32 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; მასში განსაზღვრულია სასკოლო ფილოსოფიის შემუშავების პროცესის - მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის მექანიზმები და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა 2025-2032 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. რომელშიც გაწერილია 7 წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები. სკოლის მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის, სკოლას დაგეგმილი აქვს 2025-2032 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

სსიპ - ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმის შემუშავების ეტაპზე ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, ხოლო დოკუმენტი საბოლოო ფორმით დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება 2025-2032 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და ორიენტირებულია მასში გამოკვეთილი მიზნების შესრულებაზე. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც სასწავლო წლის დასაწყისში

დაევალა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენა. ჯგუფმა შეიმუშავა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც გაეცნო სასკოლო საზოგადოებას, ხოლო საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ, დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ.

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შედეგების ანალიზისა და შეფასების პროცესს, რომლის შემდგომაც იგეგმება საჭირო ცვლილებები და მზადდება ახალი სამოქმედო გეგმა. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომავდი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთ ეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

დაწესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმაში, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილია აქტივობები, ნათლად არის წარმოდგენელი შესრულებაზე პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურულ ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის შექნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

სკოლის მიერ შემუშავებული და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასებას და მონიტორინგს.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის ჯგუფი ზედამხედველობას გაუწევს მონიტორინგის პროცესს: სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას, მიზნების მიღწევას, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საჭიროებას და სხვა შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, **სტრატეგიული გეგმის** მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი გულისხმობს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი ანგარიშებისა და მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება მოიცავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ - აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია მონიტორინგის შესრულების ორი ალტერნატივა. ორივე მეთოდი გულისხმობს შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისაგან ანგარიშების წარდგენას, პირველი ალტერნატივის მიხედვით ანგარიშების და მტკიცებულებების დრაივზე ატვირთვას, ხოლო მეორე ალტერნატივის მიხედვით სამუშაო შეხვედრებზე ანგარიშების წერილობით წარდგენას. ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, ამზადებს ერთიან ანგარიშს სადაც სამოქმედო გეგმის თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს ,,შესრულდა“, ,,ნაწილობრივ შესრულდა“, ,,არ შესრულდა.“

მონიტორინგის პროცესის შემდგომ, სამუშაო ჯგუფის წევრები ახორციელებენ არსებული მონაცემების ანალიზს და შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას დაწესებულება უზრუნველყოფს ვებ-გვერდის, საინფორმაციო დაფისა და ბეჭდური გამოცემების საშუალებით. სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია ონლაინ სივრცეში. მათი განხორციელების შედეგების გასაჯაროება უზრუნველყოფილი იქნება მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების შედეგები სკოლას აძლევს ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ეფექტურად დაგეგმვისათვის. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში რეგულარულად იმართება შეხვედრები, რომელზეც განიხილება ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები სკოლის განვითარებასთან დაკავშირებით, იკვეთება საჭიროებები, პრობლემები და ისახება გადაჭრის გზები. სასწავლო წლის ბოლოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე კათედრების თავმჯდომარეების, სკოლის დირექციის ანგარიშის საფუძველზე მოხდება სკოლის მუშაობის შედეგების ანალიზის გათვალისწინება. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლა გაანალიზებს, განსაზღვრავს წარმატებულ პრაქტიკას და გასაუმჯობესებელ მხარეებს. აღნიშნულ ანალიზს გამოიყენებს მომავალი საქმიანობების დასაგეგმად. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის შექნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება და სკოლის შინაგანაწესი, რომლებიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორებიცაა: საკადრო პოლიტიკა, პროფესიული განვითარების მექანიზმები, სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო პირობები, ანგარიშგება და შესრულების შეფასება. დასაქმებულის ფუნქციები, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში.

დაწესებულებაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, დარაჯი (3), ცეცხლფარეში (1), დამლაგებელი (4), სპეციალური მასწავლებელი (2- უფროსი პედაგოგის სტატუსით), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი (5); სულ პედაგოგიური პერსონალი - 35.

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. წარმოდგენილია მათი საქმიანობის დებულებები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილების წინაპირობაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება და შრომითი ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. სკოლაში მიმდინარე პროცესების განხორციელებას ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების

დებულებები და ისეთი მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორებიცაა სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება და სკოლის შინაგანაწესი. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილი რეგულაციები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და, ასევე, განსაზღვრავს დაწესებულების მისიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, ინტეგრაციისა და განვითარების პრინციპებს.

დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ხელშეკრულებისათვის არსებით პირობებს და დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომლის ხელის მოწერითაც პირი ადასტურებს თავის თანხმობას და იმ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას, რაც შესაბამისი სამუშაო აღწერილობით მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. სკოლის თანამშრომლების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად: საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული უფლებებისა და რეგულაციების დაცვით, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების, ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების, და სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის მიხედვით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასაქმებულთა სამუშაო პირობების, შრომის ანაზღაურების, წახალისების/ დისციპლინური დევნისა და სხვა საკითხების შესახებ. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლების აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლა ახდენს მყისიერ რეაგირებას, რის გამოც სასკოლო პროცესის შეფერხება არ ხდება. სკოლაში მასწავლებლის წინასწარ ცნობილი ან დაუგეგმავი გაცდენის შეთხვევაში, სკოლის დირექცია აკეთებს საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიკაციას: გაკვეთილების გადანაცვლებას, იმავე საგნის თავისუფალი მასწავლებლის/სხვა მასწავლებლის/დამრიგებლის შეშვებას გაკვეთილზე. გარდა ამისა, დირექტორის მოვალეობას, მისი არყოფნის შემთხვევაში, ასრულებს დირექტორის მოადგილე. ვაკანსიის გამოცხადების წესის თანახმად, სკოლა უფლებამოსილია პოზიციის ვაკანტურად ცნობამდე გამოაცხადოს კონკურსი, თუ არსებობს საფუძველი/ინფორმაცია რომ ახლო მომავალში თანამშრომელი დატოვებს დაკავებულ პოზიციას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

დაწესებულებაში პერსონალის და მასწავლებლების შერჩევა მიმდინარეობს კანონმდებლობის დაცვით, კონკურსის საფუძველზე. კონკურსის გამოცხადებამდე, შესაბამისი თანამდებობის სამუშაო აღწერილობის გათვალისწინებით, წინასწარ განისაზღვრება კანდიდატისთვის წაყენებული აუცილებელი მოთხოვნები, ასევე წარმოსადგენი დოკუმენტაცია/ინფორმაცია. სსიპ ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლაში მასწავლებელთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანების შესაბამისად.

<u>ვიზიტის დროს,</u> შემოწმდა საკონკურსო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (ვაკანსიის განაცხადები შესაბამის პორტალზე, კონკურსის ოქმები, დირექტორის ბრძანებები და სხვ.), რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ პირობებთან.

პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია - საქაღალდეებში წარმოდგენილია საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის, კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ცნობები.

დაწესებულებაში არ არის დასაქმებული კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი **ბრძანების თანახმად (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი), დაწესებულებაში, მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის - 700 მოსწავლე - შესაბამისად, დასაქმებული უნდა იყოს 1 ექიმი და 1 ექთანი.**

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად (ექიმისა და ექთნის დასაქმება) განსაზღვრულია 2026 წლის სექტემბრის თვე.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 35 მასწავლებელი, მათ შორის 1 მენტორი, 7 წამყვანი, 25 უფროსი, 1 მოწვეული მასწავლებლის სტატუსით; სკოლაში, ასევე, სამინისტროს საპილოტე პროგრამის ფარგლებში, დასაქმებულია სამხედრო საქმის პედაგოგი. სკოლა მუდმივად ცდილობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით აცხადებს ღია კონკურსს, კონკურსის გამოცხადებისას მითითებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დაწესებულებაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, დარაჯი (3), ცეცხლფარეში (1), დამლაგებელი (4), სპეციალური მასწავლებელი (2- უფროსი პედაგოგის სტატუსით), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი (5); სულ პედაგოგიური პერსონალი - 35.

თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულებაში აღწერილ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ავტორიზაციის ვიზიტის დროს, თვალშისაცემი იყო სკოლის მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც მოსწავლეების, კათედრებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ინიცირებითა და ჩართულობით არის განხორციელებული. ეს ყოველივე მეტყველებს მაღალი თანამშრომლობითი კულტურისა და გუნდური მუშაობის პრინციპებზე.

პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტებში ნათლად არის განსაზღვრული თანამშრომლის ადაპტაციის, პერსონალის სოციალიზაციისა და მოტივაციის მექანიზმები. თანამშრომლები შეუზღუდავად სარგებლობენ სასკოლო მიზნებისთვის სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსებით, ბიბლიოთეკით, სამასწავლებლოთი და სხვა რესურსებით. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი; სკოლისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები იყოს აღიარებული და სასკოლო საზოგადოებასა და თემს შორის გაზიარებული. ამ მიზნით, სკოლა პედაგოგებს წარადგენს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსზე;

მაგალითად, ტექნოლოგიების მასწავლებელი სისტემატიურად ატარებს ციფრული უნარებისა და ციფრული ინსტრუმენტების შესახებ სამუშაო შეხვედრებს, დაინტერესებული კოლეგებისათვის.

სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პერსონალის სამუშაო აღწერილობა (დანართი 1);
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება;

- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- დირექტორის ბრძანება საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას გააზრებული აქვს რომ მისი განვითარება, დიდ წილად არის დამოკიდებული დასაქმებული პირების კომპეტენციების სრულყოფაზე. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთ ამოცანას სწორედ დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, სკოლის პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და დაკვირვება, სამუშაო შეხვედრების მოწყობა, გამოკითხვის ჩატარება, ინდივიდუალური საუბრების განხორციელება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მონიტორინგის ფორმები. გარდა ამისა, სკოლის სხვადასხვა მოქმედ პროექტებსა თუ პროგრამებში ჩართულობის შედეგად თვალნათლივ დგინდება თუ რა მიმართულებით ესაჭიროება პროფესიული განვითარება ამა თუ იმ პირს. ამ მეთოდების გამოყენებით ხორციელდება საჭიროებების დადგენა, რომელთა საპასუხოდაც

იგეგმება შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შეფასებისა მექანიზმი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, შემდეგ კი შედეგების ანალიზის გეგმავს პერსონალის მიზნობრივ განვითარებას. ადამიანური რესურსების განვითარება გათვალისწინებულია სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში.

უახლოეს წარსულში, შესაბამისმა თანამშრომლებმა გაიარეს ბუღალტრის კვალიფიკაციის ამაღლების და ბიბლიოთეკარის გადამზადების კურსები, სკოლის ფინანსური მხარდაჭერით. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

ვინაიდან დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ პერსონალის განვითარებაა, სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს პედაგოგებისა და თანამშრომლების კარიერულ ზრდას. განვლილ წლებში, სკოლაში არა ერთმა პედაგოგმა აიმაღლა სტატუსი, მათ შორის, დირექტორის წარდგინებით.

სკოლის მასწავლებლებს აქვთ სრული მხარდაჭერა პროფესიული თუ კარიერული განვითარების გზაზე, რაც გამოიხატება მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობაში, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის დანერგვაში, რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო ჯგუფების ორგანიზებაში, შემოქმედებითი და პროექტული სწავლების ხელშეწყობაში. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლა ხელს უწყობს ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარს და პროფესიულ კურსებს.

კერძოდ, მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ ვებინარებს. სკოლას აქვს ისეთ მნიშვნელოვან პროგრამებში/პროექტებში ჩართულობის მრავალწლიანი გამოცდილება როგორებიცაა: ,,GPRIED კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“; ,,ახალი სკოლის მოდელი,“ ,,ციფრული სკოლა საქართველო,“ ,,ლიდერობის აკადემია“. აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობამ მასწავლებლებს შესძინა ისეთი უნარები, რომლებიც ხელს უწყობს მათ პროფესიულ და სასწავლო გარემოს განვითარებას. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს პერსონალის განვითარების შიდა აქტივობებიც: მიმდინარე წელს ი.ს.ტ.-ის მასწავლებელი, სკოლის ბაზაზე, მხარდაჭერას უწევს პედაგოგებს ი.ს.ტ. უნარების განვითარებისთვის. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში არის პედაგოგთა და თანამშრომელთა შეკრული და პატივისცემაზე ორიენტირებული გუნდი; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიხედვით განსაზღვრული მიდგომები კი ეხმარება ახალ თანამშრომელს თავი იგრძნოს სკოლის ღირებულ გუნდის წევრად და არ შეექმნას სამუშაოსთან ინტეგრაციის პრობლემა. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლა მაქსიმალურად უჭერს მხარს თანამშრომელთა ინიციატივების განხორციელებას. საინტერესო იდეები და წამოწყებები იკვეთება პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- განხორციელებული პროგრამების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

შეფასება:
● *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
● *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისათვის. მიმდინარე პროცესების ხარისხის მართვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სკოლის მასწავლებლებით და ტექნიკური პერსონალით - სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

დაწესებულებას სხვადასხვა პროცედურულ დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესების მონიტორინგისა და რევიზიის მექანიზმები, რაც საშუალებას აძლევს მას განსაზღვროს ნაკლოვანების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები. ~

სკოლა ხარისხის მართვის პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც კანონმდებლობის შესაბამისად, ისე სხვადასხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით პროცესების მართვას, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და სხვა წესები. ყოველივე აღნიშნულით ემსახურება სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების შეუფერხებლად განხორციელებას. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, სკოლის შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში, სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პროცესების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრება პერსონალის ცალკეულ წევრებს, აღწერილია მათ ფუნქციებში. თანამშრომლებს გააზრებული აქვთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და ისიც, თუ რა როლი ეკისრებათ სკოლისათვის მნიშვნელოვანი მმართველობითი პროცესების განხორციელებაში. გაცნობიერებულია, რომ სასწავლო პროცესის

ყოველდღიური მართვა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და შენარჩუნება, მოსწავლეებზე ზრუნვა არის სკოლისათვის უმთავრესი მიზანი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის სისტემა, რომელიც რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესით. აღნიშნული წესით განსაზღვრულია მოსწავლეთა, თანამშრომელთა და მშობელთა მიერ საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის პროცედურები, ვადები და სხვა დეტალები. მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომლებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები.

საჩივრის განცხადების წარდგენა შესაძლებელია პირადად, ფოსტით ან/და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით. საჩივრებს განიხილავს დირექტორი, საჭიროების შემთხვევაში კი ამისამართებს დისციპლინურ კომიტეტთან. დისციპლინური კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევაში, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილია სამეურვეო საბჭო. დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.

დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშეკრულების პირობების

გაცნობით, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობით დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

დაწესებულება აქტიურად წაახალისებს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო პროცესებში.

ამისთვის სკოლა ორგანიზებას უწევს მშობელთა კრებებს, სამუშაო შეხვედრებს, გამოკითხვებს, კომუნიკაციას სხვადასხვა ციფრული არხების საშუალებით (ჯგუფები სოციალურ ქსელში, ონლაინ პლატფორმები). კანონმდებლობის ფარგლებში გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირების მონაწილეობით იქმნება სკოლის საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტები.

პროცესების დასაგეგმად, შესაფასებლად, კმაყოფილების თუ უკმაყოფილების ხარისხის დასადგენად სკოლაში ტარდება შეხვედრები/ გამოკითხვები/დისკუსიები. პასუხიმგებელი პირები აწარმოებენ ანგარიშებს (პროცესებთან დაკავშირებული ოფიციალური უკუკავშირი). აზრთა გაცვლა-გამოცვლას, უკუკავშირის გააზრებას, მოსდევს შესაბამისი რეაგირება. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებში (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო) მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის წევრობა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას.

ამ მიზნით, სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებული სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ახორციელებენ სხვადასხვა შემოქმედებითი ხასიათის მქონე დავალებების ანალიზს. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- წარმოდგენილი კითხვარები.

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაწესებულება სარგებლობს მანდატურის სამსახურით. სკოლის შემოსასვლელი კონტროლდება დარაჯების მიერ. მიმდინარეობს ვიზიტორთა აღრიცხვა. სკოლის შენობაში განთავსებულია ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემა. <u>დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;</u>

ხარვეზი:

- დაწესებულებას მიერ წარმოდგენილი დასკვნა <u>შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ უარყოფითი ხასიათისაა.</u> შენობის ვიზუალური დათვალიერებითაც კი შეინიშნება მრავლობითი ბზარები, დაზიანებული კედლები, ჭერი და იატაკი - მათ შორის რამდენიმე საკლასო ოთახშიც. მდგომარეობა განსაკუთრებულად მძიმეა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში. ქიმიის კაბინეტში შეუძლებელია საგაკვეთილო პროცესის წარმართვა, რის გამოც ოთახი დალუქულია და არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. დალუქულია რამდენიმე საკლასო ოთახი შენობის მე-4 სართულზე. დასკვნაში ასევე იდენტიფიცირებულია პრობლემა სპორტული მოედნების კედლების საძირკველთანაც დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მოედნები ახლად მოწყობილია, ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნაში ნახსენებია, რომ საჭიროა აღნიშნული საძირკველის დაუყოვნებლივ გამაგრება. <u>დაწესებულების ხელმძღვანელმა არაერთხელ მიმართა შესაბამის უწყებებს სკოლის შენობის რეაბილიტაციის მოთხოვნით.</u> ექსპერტებმა შეისწავლეს აღნიშნული კორესპონდენცია და დაადგინეს, რომ დაწესებულებას გაგზავნილი აქვს წერილები მდგომარეობის დეტალური აღწერით 2017, 2019, 2020, 2021, 2022, 2025 წლებში. 2023 წელს, სკოლამ მიიღო პასუხი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან, სადაც აღნიშნულია: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული პრიორიტეტების საფუძველზე, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გათვალისწინებული იქნება სსიპ - ქალაქ

თბილისის №2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საკითხის განხილვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული ახალი პროექტის - 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია - პირველი ტრანშის (2023-2024წწ.) ფარგლებში.“ თუმცა, ფაქტობრივი მდგომარეობით, სკოლის რეაბილიტაცია დღემდე არ არის დაწყებული. ვიზიტის დროს, დაწესებულების ხელმძღვანელმა, კვლავ შეიტანა განცხადება გამგეობაში შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით და წარმოადგინა განცხადების რეგისტრაციის კოდი.

- **დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი უფლებამოსილი უწყების დადებითი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.** სკოლამ წარმოადგინა 2020 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული შემოწმების აქტი - მიწერილობა N688, სადაც ასახულია ხარვეზები და აღმოფხვრის შესაბამისი ვადები. ვიზიტის დროს სკოლამ ასევე წარმოადგინა 2026 წლის 29 იანვრის მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. თუმცა, ვინაიდან 2020 წელს გაცემული რეკომენდაციები შესრულებული არ არის, შესაბამისობის დადგენა ვერც განმეორებითი შემოწმების ფარგლებში იქნება შესაძლებელი.

- **სკოლის შენობის ერთ-ერთ გარე კედელზე დამონტაჟებულია ბუნებრივი აირის გამანაწილებელი მოწყობილობა, რომელიც ვიზიტის დროს გამოსცემდა აირის მკვეთრ სუნს.** სკოლის დირექტორმა მაშინვე მიმართა შესაბამის უწყებას. აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელს ამ საკითხთან დაკავშირებით ვიზიტამდეც არაერთხელ ჰქონდა უწყებასთან კომუნიკაცია, რაზეც პასუხობდნენ, რომ გამანაწილებელი უბნის საკმაოდ დიდ ტერიტორიას ემსახურებოდა და მისი დემონტაჟი რთულ პროცედურას წარმოადგენდა. ვიზიტის დროს, თბილისი ენერჯისგან სკოლამ მიიღო აქტი, სადაც აღნიშნულია რომ შემოწმდა აგრეგატი, დაფიქსირდა გაჟონვა და ინფორმაცია გადაეცემა რაიონის ბიზნეს ცენტრს, ზომების მისაღებად. **ექსპერტთა აზრით, დაუშვებელია აღნიშნული მოწყობილობა დამაგრებული იყოს სკოლის ტერიტორიაზე - მით უმეტეს, სკოლის შენობის კედელზე. მიზანშეწონილია, დაუყოვნებლივ განხორციელდეს ბუნებრივი აირის გამანაწილებელი აგრეგატის დემონტაჟი.**

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. **სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია:

1. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სკოლის შენობის შესახებ დადებითი მდგრადობის დასკვნის მოპოვება (2028 წლის აპრილი);

2. უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება (2028 წლის 29 იანვარი);
3. დაწესებულების გარე კედელზე დამონტაჟებული გაზის გამანაწილებელი მოწყობილობის გადატანა (2026 წლის 31 მაისი).

<u>ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე სკოლაში არ არის შესაბამისი კვალიფიკაციისა და რაოდენობის სამედიცინო პერსონალი (1 ექიმი და 1 ექთანი). ექთნის მოვალეობას ამჟამად ითავსებს სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

<u>შენიშვნა:</u> არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად (ექიმისა და ექთნის დასაქმება) განსაზღვრულია 2026 წლის სექტემბრის თვე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

დაწესებულება სარგებლობს მანდატურის სამსახურით. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი კლასის დამრიგებლები, დირექტორის მოადგილე და დირექტორი. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ამ მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელზეც სისტემატურად მუშაობენ კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს

წარუდგენს დირექტორს. მრჩეველთა საბჭოს ოქმებითა და სადამრიგებლო პროგრამებით დასტურდება, რომ სკოლა აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერ-ბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, ჯანსაღი სასკოლო კლიმატი არის მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარი, რისთვისაც დაწესებულებაში არა ერთი შეხვედრა, სემინარი, სამსჯელო საკითხების განხილვა ეწყობა.

მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მეგობრული და უსაფრთხო გარემოა, დისციპლინას დიდი ყურადღება ექცევა როგორც დაწესებულებაში ქცევის, ისე გაკვეთილებზე დასწრების კუთხით. დამრიგებელი ყოველთვის ატყობინებს მშობლებს მოსწავლის გაცდენის შესახებ, გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების შესახებ. აქედან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის აქტიური ჩართულობა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. სკოლაში დასაქმებულია 4 დამლაგებელი, რომლებიც ყოველდღიურად იცავენ სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის ეზოს სისუფთავეს, ათავისუფლებენ ეზოს ბალახებისა და ნარჩენებისაგან. სკოლის სველი წერტილები აღჭურვილია ყველა შესაბამისი ნივთით, რომელთა მომარაგებაზეც ზრუნავს სკოლის დირექცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომელშიც დაკონკრეტებულია თუ რა სახის მონაცემები მუშავდება კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ. პერსონალური მონაცემების დაცვა სკოლის მხრიდან გააზრებულია როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტი. სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალური ინფორმაციას.

სკოლას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის დანერგვის მიზნით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არა ავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. ადმინისტრაციის სამუშაო კომპიუტერებს, სადაც ინახება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციები, ადევს პაროლი, რომლის გამოყენებაც შეუძლია მხოლოდ იმ თანამშრომელს, რომლის სამუშაოდაც არის განკუთვნილი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებას და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა;
- მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე - 2026 წლის 29 იანვარი;
- ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე შედგენილი მიწერილობა N 688 – 2020 წლის 09 მარტი;
- სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს უარყოფითი ხასიათის დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;
- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დაწესებულების მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია რესურს-ცენტრსა და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან შენობის რეაბილიტაციის თაობაზე (ორი მათგანი ნიმუშის სახით თან ერთვის დასკვნის პროექტს: დანართი N1 და დანართი N2);
- შინაგანაწესი;

- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ სკოლა ფლობს 4432 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას - საერთო ფართობით 3493.39 კვ.მ. სკოლის ეზოში ასევე განთავსებულია ცალკე მდგომი საქვაბე.

სკოლის ეზოში მდებარეობს 2 ახალი, კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი. ეზო დაცულია ღობით და შემოსავლელი ჭიშკრით.

შენობის პირველ სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, სველი წერტილები, ადაპტირებული სველი წერტილი, სამედიცინო კაბინეტი, სასადილო ოთახი, მანდატურის ოთახი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ოთახი;

მეორე სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, კომპიუტერული კლასი, ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სველი წერტილები.

მესამე სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, რესურს ოთახი, ფიზიკის კაბინეტი და სველი წერტილები.

შენობის მეოთხე სართულზე, რამდენიმე საკლასო ოთახი, მათ შორის ქიმიის კაბინეტი, დალუქულია სარეაბილიტაციო მდგომარეობის გამო. აღნიშნულ სართულზე ფუნქციონირებს მხოლოდ სპორტული და სააქტო დარბაზები.

საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. სკოლას აქვს კომპიუტერული კაბინეტი და სასწავლო პროცესის მხარდაჭერისათვის საჭირო ციფრული რესურსი: პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პრინტერები, პროექტორები, ეკრანები. ციფრული ტექნიკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები აღჭურვილია მრავალფეროვანი ინვენტარითა და რესურსებით, რომლებსაც სკოლა მრავალი წლის განმავლობაში უფრთხილდება და მიზნობრივად იყენებს. ლაბორატორიებში არის სველი წერტილები, თუმცა არ არის დამონტაჟებული სავენტილაციო სისტემა ან გამწოვი კარადა. ლაბორატორიების ოთახები სარემონტოა.

<u>აღსანიშნავია, რომ სკოლის შენობა მთლიანად სარეაბილიტაციოა. ვიზუალური დათვალიერებითაც კი შეინიშნება მრავლობითი ბზარები, დაზიანებული კედლები, ჭერი და იატაკი როგორც შენობის დერეფნებსა და კიბის უჯრედებში, ისე ზოგიერთ მოქმედ საკლასო ოთახში. მდგომარეობა განსაკუთრებულად რთულია მე-4 სართულზე, რომლის დიდი ნაწილი დალუქულია და არ არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის.</u>

ამ ეტაპზე, სკოლას (დალუქული სივრცეების მიუხედავად) აქვს მზაობა, ერთ ცვლაში განათავსოს 500 მოსწავლე. სკოლის მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის - 700 მოსწავლე - მიღებას დაწესებულება შეძლებს მხოლოდ ორცვლიანი სწავლების პირობებში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულებაში მოწყობილია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კაბინეტი, რესურს ოთახი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები. ფიზიკისა და ბიოლოგიის კაბინეტები აღჭურვილია მრავალფეროვანი ინვენტარით და ვიზუალური მასალით. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდები. ამ ეტაპზე სკოლაში არ ფუნქციონირებს ქიმიის ლაბორატორია, ვინაიდან ოთახი სარემონტოა და არ არის სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის შესაფერისი. ქიმიის ლაბორატორიის ინვენტარის ნაწილი გადატანილია ბიოლოგიის კაბინეტში და გამოიყენება ექსპერიმენტული სწავლებისათვის. კომპიუტერული კაბინეტი აღჭურვილია გამართული კომპიუტერებით და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. დაწესებულება ფლობს პროექტორებსა და მონიტორებს, რომლებსაც რეგულარულად იყენებენ პედაგოგები. ლეპტოპები და პერსონალური კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტ-ქსელში. სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი. ასევე, ორი კეთილმოწყობილი გარე სპორტული მოედანი.

ხარვეზი:

აღსანიშნავია, რომ სკოლის შენობა მთლიანად სარეაბილიტაციოა. დაწესებულებამ წარმოადგინა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უარყოფითი ხასიათის დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. შენობის ვიზუალური დათვალიერებითაც კი შეინიშნება მრავლობითი ბზარები, დაზიანებული კედლები, ჭერი და იატაკი როგორც დერეფნებსა და კიბის უჯრედებში, ისე ზოგიერთ მოქმედ საკლასო ოთახში. მდგომარეობა განსაკუთრებულად რთულია სკოლის მე-4 სართულზე, სადაც ქიმიის კაბინეტი და სხვა საკლასო ოთახები დალუქულია და არ არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად (მეოთხე სართულის რეაბილიტაცია) განსაზღვრულია 25.04.2028.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლის საბიბლიოთეკო რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. ბიბლიოთეკაში ინახება მშობლიური და საზღვარგარეთის ლიტერატურა, ენციკლოპედიები, პერიოდული გამოცემები და მეთოდური ლიტერატურა. გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. არსებობს წიგნების გაცემისა და აღწერის ჟურნალი. წიგნები აღრიცხულია როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულადაც.

ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის საბიბლიოთეკო ფონდის დიდი ნაწილი მოიცავს რუსულ, ნაკლებად თანამედროვე ლიტერატურას (დაწესებულება თავდაპირველად გაიხსნა და მრავალი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა როგორც რუსული სკოლა). სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ბიბლიოთეკაში მოსწავლეთა მომართვიანობა გაცილებით გაიზრდებოდა, სკოლა რომ ფლობდეს უფრო მეტ ახალ გამოცემას და თანამედროვე ლიტერატურას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

დაწესებულების შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, ხოლო პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. დაწესებულების მესამე სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და რესურსებით.

ხარვეზი:

ამ ეტაპზე, სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლისათვის ინკლუზიურ გარემოს. შენობაში არ არის ლიფტი; შიდა კიბეებზე არ არის დამონტაჟებული პანდუსები. შესაბამისად, რესურს ოთახი, საგნობრივი კაბინეტები, სპორტული და სააქტო დარბაზები, რომლებიც ზედა სართულებზეა განთავსებული, არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად (შენობის შიდა კიბეებზე პანდუსის მოწყობა ან სკოლაში ლიფტის დამონტაჟება) განსაზღვრულია 2028 წლის აპრილის თვე.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

მიუხედავად იმისა, რომ შენობის ზოგიერთი სივრცე დალუქულია და, ამასთან ერთად, ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლა სხვა (რეაბილიტაციის რეჟიმზე მყოფ) დაწესებულებას მასპინძლობს მეორე ცვლაში, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მოსწავლეებისათვის სკოლაში იყოს სოციალიზაციისათვის შესაფერისი გარემო და ინფრასტრუქტურა. სოციო-კულტურული და სასწავლო-შემეცნებითი აქტივობებისთვის, სკოლა იყენებს სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს, გარე მოედნებს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ ლაბორატორიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტებს, ეზოს, და სხვა რესურსებს. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომლის ფარგლებში ხორციელდება არა ერთი საინტერესო პროექტი სკოლის როგორც სოციალური სივრცის, ისე კულტურულ კერად ჩამოყალიბებისათვის. სკოლაში წარმოდგენილია დერეფნისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაციის კომისიის ბრძანება;
- ინვენტარიზაციის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დაწესებულებაში არსებობს ყველა საშუალება იმისათვის, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება წახალისებული იყოს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროცესში.

სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერისა და ქსეროქსის აპარატით. სკოლაში ხელმისაწვდომია მუდმივი ინტერნეტი როგორც ქსელური ისე უკაბელო (WI-FI) სახით.

დაწესებულებაში არის კომპიუტერული კაბინეტი, რომელიც კომპიუტერების გარდა აღჭურვილია პროექტორითა და ეკრანით.

დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, სკოლაში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და კომპიუტერიზაცია ამაღლებს მოსწავლეთა და პედაგოგთა მოტივაციას. მიმდინარე წელს, ი.ს.ტ. პედაგოგის ინიციატივით, სკოლაში ხორციელდება ციფრული უნარების გასაუმჯობესებელი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები პედაგოგებისათვის, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მათ შორის ელექტრონული რესურსების, თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

<u>ვიზიტის დროს,</u> მოსწავლეებთან და სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მათ აქვთ შესაძლებლობა შეუფერხებლად გამოიყენონ ინფორმაციული ტექნოლოგიები შემეცნებითი და არაფორმალური აქტივობების ფარგლებში განსახორციელებელი მიზნებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმიანობის წესი. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის N951 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის'' შესაბამისად, სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ თანამშრომელსა და თუ მოქალაქეზე.

სკოლა უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით: შემოსული დოკუმენტაცია; გასული დოკუმენტაცია; შიდა დოკუმენტაცია; საქმისწარმოების პროცესში გამოყენებული ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი ორი ფორმისაა: ელექტრონული და მატერიალური (ბრძანებები და ხელშეკრულებები), ხოლო შემოსული დოკუმენტაცია, მხოლოდ ელექტრონული. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას სკოლაში ახორციელებს კვალიფიციური საქმისმწარმოებელი, რომელიც გამოირჩევა წესრიგით და ორგანიზებულობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით - Eflow, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების - ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების და სხვ. - რეგისტრაცია. სკოლა ასევე სარგებლობს eSchool.emis.ge ბაზით და თიმსის პორტალით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში შეყვანილია სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის მონაცემები, რომლებიც განახლებადია. დაწესებულება სისტემაში ახორციელებს განრიგის შექმნას (გაკვეთილების ცხრილი სემესტრის მიხედვით) საგნების განაწილებას, კლასების შექმნას, ლიმიტების მითითებას. დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, სისტემაში აისახება მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება, კლასის/დონის დაძლევა. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. დაწესებულება მათ აწვდის შესაბამის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას. სკოლის მაკონტროლებელი ორგანო არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სამინისტროსა და სკოლას შორის შუალედური რგოლია რესურსცენტრი, რომლის დახმარებითაც დაწესებულება ურთიერთობს სამინისტროსთან. სკოლა მუდმივად ცდილობს შემოსულ წერილებში მოთხოვნილი ინფორმაცია საჭირო დროის დაცვით გადაეგზავნოს ადრესატებს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებლ უწყებებთან ანგარიშებისა სკოლა ურთიერთობს სხვადსხვა უწყებასთან.

სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს.

ასევე, დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით ხელშეკრულების შესრულებიდან 10 დღის ვადაში (თუ შესყიდვების გეგმა აღემატება 50000 ლარს) ან არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა (თუ შესყიდვების გეგმა არ აღემატება 50000 ლარს). <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები ჩარიცხვის, მობილობის, დონის დაძლევის შესახებ;
- ამონაწერი საინფორმაციო სისტემიდან eSchool.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლა აქტიურად სარგებლობს სოციალური ქსელით: https://www.facebook.com/2sajaro და ვებ გვერდით: https://skolebi.emis.ge/schools/35?schoolName

გარდა ამისა, სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის ელექტრონული ფოსტის და სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით. ამავე მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, „თიმსის“ საგანმანათლებლო პლატფორმას, სოციალურ ქსელს, რომელიც მეტად აქტუალურია მშობლებთან საკომუნიკაციოდ.

საკომუნიკაციო საშუალებებით ხორციელდება სასკოლო საზოგადოების დროული ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაწესებულებაში შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება სკოლის ვებგვერდებზე/სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის განთავსებამდე, მოიძიოს, შეამოწმოს

ინფორმაციის სანდოობა, უტყუარობა და სკოლის სახელით გავრცელების საჭიროება/აუცილებლობა; ასევე არ შექმნას, არ გაავრცელოს და არ დაუშვას სკოლის სახელით გავრცელდეს, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა ეფექტურად იყენებს ონლაინ გამოკითხვის მეთოდებს თანამშრომლებში, მშობლებში, მოსწავლეებში ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების პროცესის გამარტივების მიზნით; სკოლა მიმართავს ციფრული სახით მიღებული ინფორმაციის დამუშავებას. დაწესებულებამ წარმოადგინა არაერთი ონლაინ კითხვარი და კვლევა, რომლის შედეგებიც აისახა სკოლის განვითარების გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია დაწესებულების შესახებ ინფორმაცია - ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე https://skolebi.emis.ge/schools/35?schoolName განთავსებულია შემდეგ ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწესებულების ვებ გვერდები: https://skolebi.emis.ge/schools/35?schoolName

- დაწესებულების გვერდები სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/2sajaro
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება და სსსმ მოსწავლეების პროგრამული დაფინანსება. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ.პერსონალის და თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლას აქვს შესყიდვების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც პერიოდულად ხორციელდება კორექტირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული 2025 წლის ბიუჯეტი. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი,

განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის ბიუჯეტი;
- 2026 წლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (ბიუჯეტის დამტკიცებაზე);
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- წლიური ბალანსი;
- შესყიდვების დოკუმენტაცია.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შემუშავებულია და მოქმედებს შიდა რეგულაციები, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები მოიცავს დისციპლინურ წესებს, უსაფრთხო და თანასწორუფლებიან სასკოლო გარემოს, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, მოსწავლის აზრის გამოხატვის უფლებასა და მის ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპს. რეგულაციები პრაქტიკაში გამოიყენება და წარმოადგენს სკოლის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილს. აღნიშნული დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

1. **სკოლის შინაგანაწესი,** რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა.
2. **პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი**, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის დამუშავების პროცესი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.
3. **მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი** .
4. **სასკოლო სასწავლო გეგმა,** რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ, სადაც აღნიშნულია მოსწავლეთა უფლებების შესახებ.
5. **უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი**, რომელიც შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად და მოიცავს სასკოლო პერიოდში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს;
6. **მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი**, რომლის თანახმად, სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა;
7. **მოსწავლეთა ადაპტაციის წესი**, რომელშიც აღწერილია მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები;

8. სსსმ მოსწავლეთათვის პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვასა და მათი ინტერესების გათვალისწინებას.

ინდიკატორი 4.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ისინი გაზიარებულია სკოლის ოფიციალური ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით (სკოლის საინფორმაციო დაფა), ასევე განიხილება მშობლებთან (მშობელთა კრება), მოსწავლეებთან (დამრიგებლის საათი) და პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრებისა და საკლასო საათების ფარგლებში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს რეგულაციების გამჭვირვალობას, მათი შინაარსის გააზრებას და პრაქტიკაში სწორად გამოყენებას. შესაბამისად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალეა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები, მშობლებსა და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია.

ინდიკატორი 4.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლასა და მოსწავლეს/მის კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი მშობელთა კრებაზე დეტალურად ეცნობა ხელშეკრულების პირობებს მოსწავლეებისა და სკოლის კანონიერ უფლება მოვალეობებს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის გაწერილი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებულია მოსწავლეთა კანონიერი ინტერესები და საჭიროებები. ექსპერტთა ჯგუფმა სკოლაში ვიზიტის დროს დაათვალიერა მშობელთა ხელშეკრულებები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ყველა ხელშეკრულება ხელმოწერილია დირექტორისა და მშობლის მიერ.

ხელშეკრულება წარმოდგენილია ორ ეგზემპლარად, ერთი რჩება როგორც წესი სკოლაში - მეორე ეძლევა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

ინდიკატორი 4.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი;
- მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების ბრძანება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლეთათვის პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი ;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს სკოლა ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს **სსიპ ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი.** აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის პროცედურას. ასევე დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კონკრეტულ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცედურებს, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ხორციელდება. იმავე დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის სტატუსის შეჩერება/აღდგენის პროცესი; საფეხურის დაძლევა.

სკოლაში წესებისა და კანონმდებლობის დაცვით ხორციელდება მოსწავლის პირადი საქმის წარმოება; მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი და მშობლის ინფორმირება მოსწავლის სტატუსის შეჩერებამდე; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი; მოსწავლის საფეხურის დაძლევის წესი.

ინდიკატორი 4.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება, რაც დასტურდება სკოლის შიდა მარეგულირებელი წესების, ბრძანებების, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით.

ინდიკატორი 4.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, საგანმანათლებლო პროგრამების, მათი სპეციფიკის, აგრეთვე მომსახურებისთვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე გაზიარებულია სოციალური ქსელის საშუალებით. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სკოლას სხვადასხვა დოკუმენტის სახით აქვს გაწერილი წლის მანძილზე შესასრულებელი აქტივობებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი/გეგმა, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას წინასწარ განისაზღვროს მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევები, შედეგები და შესაბამის ქცევაზე რეაგირების ფორმები. წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 4.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

ინდიკატორით გათვალისწინებული პროცესი რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის დოკუმენტით, ასევე მშობელთან ურთიერთობის დებულებით . განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობის შესაბამისად თავსდება სკოლის ვებგვერდზე, ასევე იკვრება საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე. აღნიშული ინფორმაცია ასევე ასახულია სასკოლო გეგმაში. რომელიც ასევე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. აქტივობებისა და ღონისძიებების სოციალურ ქსელში განთავსებამდე სკოლის ადმინისტრაცია მშობლისგან იღებს თანხმობას. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. აღნიშნული გადამოწმდა უშუალოდ ვიზიტისას სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით.

სკოლის სამეურვეო საბჭო, დირექცია და დისციპლინური კომიტეტი აქტიურადაა ჩართული შექმნას სკოლაში უსაფრთხო გარემო, უზრუნველყოფს სკოლის, ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობებისა და რესურსების შესახებ იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმი
- მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის დოკუმენტი;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტი; რომელშიც რეკომენდაციის სახით გაწერილია ნაბიჯები მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან, იმისათვის რომ ადვილად შეეგუონ მოსწავლეები ახალ გარემოს. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს ბუნებრივად შეუერთდეს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; წესი აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებსა და მნიშვნელოვან ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; დეზადაპტაციის ნიშნების განსაზღვრას; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელ ღონისძიებებსა და მოსწავლეთა მიღებას, სწავლის დაწყების პროცედურებს პირველ დღეებში.

ინდიკატორი 4.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მიუხედავად იმისა, რომ პირველადი ავტორიზაციის პროცესში აღნიშნული ინდიკატორი არ ივსება, ექსპერტთა ჯგუფი სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკს საკლასო გარემოს მოწყობისას. მაგალითად, ავეჯის შესაბამისობა ასაკთან, სივრცე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე
(რამდენადაც ამის შესაძლებლობას ინფრასტრუქტურა იძლევა). სწავლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სკოლა იწვევს პირველკლასელ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მასწავლებლებისა და გარემოს გასაცნობად. დამრიგებლებს სადამრიგებლო პროგრამით გაწერილი აქვთ ადაპტაციის შესაბამისი აქტივობები.

სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელებიც მუშაობენ მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე. ასევე აღსანიშნია, სკოლაში რამდენიმე ინტეგრირებული კლასია, რაც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ინდიკატორი 4.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულებაში ფუნქციონირებს რემედიაციის მექანიზმი, რომლის თანახმად რემედიაცია შეიძლება განხორციელდეს საკონსულტაციო შეხვედრებით ინდივიდუალური ან ჯგუფური დამატებითი გაკვეთილების სახით; შესაძლოა მოსწავლეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით შესასრულებელი ჰქონდეს დამოუკიდებელი სამუშაოები.

სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი. ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ კონსულტაციები. სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლისათვის გეგმავს და ახორციელებს ქართული ენის შესწავლის ხელშემწყობ აქტივობებს.

სკოლაში სსსმ მოსწავლების აკადემიური შედეგებისთვის საგნის მასწავლებლებთან ერთად პროცესში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტები, რომლებიც მოსწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით მუდმივად თანამშრომლობენ საგნის მასწავლებლებთან. აღნიშნული დადასტურდა როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ასევე უშუალოდ პედაგოგებთან/სპეციალურ მასწავლებლებთან გასაუბრებით. სკოლის მოსწავლეებთან/მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მასწავლებლისგან მიიღონ დახმარება გაკვეთილების შემდეგ ინდივიდუალური ან ჯგუფური შეხვედრების სახით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლისგან მოსწავლე იღებს სათანადო მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 4.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერა, კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, გამოიხატება სკოლის მოსწავლეთა შესაძლებლობების წარმოჩენის ხელშეწყობაში - სკოლის დირექცია მხარდაჭერას უწევს მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს ინოვაციური იდეებისა და ხედვების რეალიზაციაში, საჭიროების

შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ ლაბორატორიას, სააქტო დარბაზს, ეზოს, სპორტულ მოედანს, სპორტულ დარბაზს. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს თვითმმართველობა და მასთან არსებული სხვადასხვა კლუბი.
კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებს (ნიშნის ამაღლება, კლასის ან საფეხურის ექსტერნის წესით დასრულება და მრავალი სხვ.), რაც ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაშიც და ეცნობიან განხორციელების მექანიზმებს. ასევე სკოლას საქმისწარმოების წესში გაწერილი აქვს ყველა წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისი რეალისტური ვადები. მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება, რაც დადასტურდა მშობლებთან გასაუბრებითაც.
ინდიკატორი 4.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმის დოკუმენტი, რომლითაც აქტიურად ხელმძღვანელობს. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები, მასწავლებლებთან, მშობლებსა და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია. სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსია, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრი. სკოლამ წარმოადგინა უამრავი აქტივობისა და პროექტის ჩამონათვალი, რომლებიც განხორციელდა არაფორმალური განათლებისა და პროფორიენტაციის განვითარების კუთხით.

(**Junior achievement 2024წ.-** მეწარმეობის კონკურსი. სკოლაში დაარსდა ბიზნეს კომპანია, რომელიც ქმნის ეპოქსიდისგან დამზადებულ ჭადრაკს. ჭადრაკი არის მომხმარებლის გემოვნებაზე მორგებული. კომპანია ''WEALTHMIND" გადავიდა შემდეგ ეტაპზე, მეწარმეობის ფესტივალზე და მოიპოვა გაყიდვის ლიცენზია.
Junior achievement 2026წ. - პროექტი, სადაც მოსწავლეებმა შექმნეს მინი კომპანია. კომპანია აწარმოებს ცვილისგან დამზადებულ მრავალჯერად შეფუთვებს.
რა?სად?როდის? 2020-2026წწ.- ინტელექტუალური თამაში. შიდა სასკოლო კონკურსის გამარჯვებული გუნდები ყოველ სეზონზე გადიან რეგიონულ შეჯიბრებზე.
„ტვინების ბრძოლა"(Brain ring")2019-2026წწ.- ინტელექტუალური თამაში, რომელშიც წლების განმავლობაში ასპარეზობდა სკოლა, ერთ-ერთ შეჯიბრზე მოიგო რეგიონული თასი.

“საახალწლო გამოფენა-გაყიდვა”-თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც ყველა საფეხურის მოსწავლემ მშობლებისა და მასწავლებლების დახმარებით შექმნა სასურველი პროდუქტი და მონაწილეობა მიიღო გამოფენა-გაყიდვაში.

“საქველმოქმედო პრეზენტაცია და გამოფენა გაყიდვა”-თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული პრეზენტაცია ტრისომია 21-ის ცნობიერების ამაღლების დღესთან დაკავშირებით, პარალელურად ჩატარებული გამოფენა გაყიდვა, რომელზეც გამომუშავებული თანხა გადაირიცხა გიგოს ფონდში.

“Technovation Girls” 2023- ტექნოლოგიური საერთაშორისო პროექტი. პროექტში ერთვებოდნენ გოგონები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თბილისის N2 საჯარო სკოლის გოგონების ჯგუფმა შექმნა აბიტურიენტებისთვის დამხმარე მობილური აპლიკაცია. კონკურზე მოიგო ტექ-ბანაკი კაჭრეთში და მოიპოვა STEM დანადგარები. მოპოვებული ინვენტარების დახმარებით სკოლაში დაარსდა STEM- კლუბი.

“Technovation Girls” 2024 - ზემოხსენებულ პროექტში შეიქმნა აპლიკაცია და სადემონსტრაციო მოდელი, რომელიც მობილური შეტყობინების საშუალებით ატყობინებს მომხმარებელს, ოთახში თუ წყალი ჩართული დარჩა. პროექტით გავიდა მე-7 ადგილზე ადგილობრივ რეიტინგში. ჯგუფმა მოიგო ბანაკი ცემში.

“Technovation Girls” 2026- პროექტში გოგონების ჯგუფმა შექმნა აპლიკაცია, რომელიც ატყობინებს საფრთხის წინაშე მარტო მყოფი ხანშიშესული ადამიანის შესახებ ინფორმაციას მასზე პასუხისმგებელ პირს.

,,ჩხირკედელა” 2024წ. - სტემ ფესტივალი, რომელიც იყო ორგანიზებული მასწავლებელთა სახლის მიერ. პროექტის ფარგლებში შესრულდა 5 მინი პროექტი, რის შედეგადაც სკოლა მიიწვიეს შეჯიბრზე. კონკურსში სკოლამ მოიპოვა STEM კომპონენტები, რომლებსაც დღემდე იყენებს.

,,STEM პროექტების კონკურსი 2024”- კონკურსი ორგანიზებული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და STEM ინოვატორთა ასოციაციის მიერ. პროექტის ფარგლებში დაწესებულებამ წარადგინა დისტანციური დიაგნოსტირების მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ადამიანის კარდიოგრამის გადაღება დისტანცურად. პაციენტი არის სახლში და ონლაინ პლატფორმის საშუალებით ექიმი კითხულობს კარდიოგრამას.

,,ვიზუალური პროგრამირების კონფერენცია 2023-2024წწ. - კონფერენცია ორგანიზებული იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. შეხვედრაზე მოსწავლეებმა წარადგინეს მათ მიერ შექმნილი თამაშები სულხან-საბა ორბელიანისა და შოთა რუსთაველის ნაწარმოებების სიუჟეტებზე.

,,ბიზნეს სიმულატორი 2024”- გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ შექმნილი სიმულაციური ბიზნეს თამაში, რომელიც დაფინანსებული იყო Shark Tank Georgia- ს მიერ. კონკურსის ეტაპების გადალახვის შემდეგ სკოლის ოთხმა მოსწავლემ გაიმარჯვა და მოიპოვა რობაქიძის უნივერსიტეტის 20%-იანი გრანტები.

“მხატვრული წერის კონკურსი”2024წ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის გამომცემლობის მიერ ორგანიზებული პროექტი თემაზე “სიყვარულის თვალებით დანახული სამყარო”. შიდასასკოლო კონკურსის მეშვეობით არჩეულმა ორმა ნაწარმოებმა გაიმარჯვა საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ ფინალურ ეტაპზე და დაიბეჭდა წიგნად.

“ინგლისური ესსეების კონკურსი”2025წ.-New vision university- ს დიპლომატიისა და პოლიტიკის სკოლის მიერ ორგანიზებული კონკურსი. კონკურსის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე ტური როგორც წერილობითი, ისე ვერბალური, რომელშიც სკოლიდან ერთ-ერთმა მოსწავლემ გაიმარჯვა და მიიღო ბანაკი ბორჯომის “მზეთამზეში” და უნივერსიტეტის 100%-იანი დაფინანსება.
“ნახატების კონკურსი”2025წ.-ისრაელის საელჩოს მიერ ორგანიზებული კონკურსი ჰოლოკოსტის თემაზე, რომელშიც მონაწილეობდა სკოლიდან ერთ-ერთი მოსწავლე და გადავიდა მნიშვნელოვან ეტაპზე.
“სასკოლო წიგნების თარო”2023წ.-შიდასასკოლო პროექტი, რომლის სპონსორიც იყო diamond planet. ფინალურ ეტაპზე გამარჯვებულმა ჯგუფმა „Rising stars”, სპონსორისგან მიიღო წიგნები.
“საქართველოს ეროვნული ოლიმპიადა”- მრავალი წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა საგანში, წელსაც მოსწავლეები ისტორია, ქიმია, ბიოლოგია, ქართულსა და ინგლისურში მნიშვნელოვან ეტაპებზე გადავიდნენ.
“ხელნაკეთი თოჯინების კონკურსი”- საქართველოს ეროვნული სასახლის მიერ ორგანიზებული კონკურსი, რომლის ფარგლებშიც სკოლამ დაამზადა ხელნაკეთი თოჯინები და გაიტანა საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ გამოფენაზე.
“ინოვაციური ბანაკი“2024- Junior achievement-ის მიერ ორგანიზებული ციფრული კონკურსი, რომლის ფარგლებშიც ერთი კვირის განმავლობაში სკოლის გუნდმა, SS Innovators, შექმნა ციფრული მოწყობილობა Smart Space 360. მრავალფუნქციური პროდუქტი ჩაშენებული GPS-ის, გაზის დეტექტორის, კამერის, ხმის ჩამწერისა და სიგნალიზაციის საშუალებით ეხმარებოდა საფრთხის წინაშე მყოფ უნარშეზღუდულ ადამიანებს.
”Finedu”2025-თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ფინანსური განათლების კონკურსი, რომელშიც არჩევითი საგნის, მეწარმეობის, გაკვეთილების ფარგლებში სკოლა გადავიდა შემდეგ ეტაპზე.
“სურსათის ეროვნული სააგენტოს კონკურსი”2025-კონკურსის ფარგლებში სკოლამ შექმნა სასურველი პროდუქტის ეტიკეტისა და შეფუთვის დიზაინი და გაიმარჯვა, რის შედეგადაც დასაჩუქრდა ტექნიკით.
“მიკროსამყარო”-თსუს ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა ჩაატარა ინფორმაციული შემოქმედებითი 5 დღიანი პროგრამა მიკრობიოლოგიურ სამყაროზე. პროექტის ბოლოს ფაკულტეტის ხელმძღვანელებთან ერთად სკოლის მოსწავლეებმა ჩაატარეს პრეზენტაციები და დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით.
Spelling bee 2024- შიდასასკოლო შეჯიბრის გამარჯვებული მოსწავლე გავიდა სასკოლო კონკურსზე, რომელშიც პირველი ადგილი მოიპოვა და დაჯილდოვდა პრიზებით.
STEAM ოლიმპიადა-კომაროვის მიერ ორგანიზებული ოლიმპიადა, რომელშიც სკოლის მოსწავლეები ასპარეზობდნენ მათემატიკა, ფიზიკა, ტექ-დანადგარების განხრით. ჯგუფი გადავიდა მეორე ეტაპზე.
თსუ- ნობელიანტთა გამარჯვებულები - პროექტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეები ესწრებოდნენ რამდენიმედღიან კონფერენციას. პროექტის ბოლოს ლექტორებისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელების წინაშე წარადგინეს პრეზენტაციები და დაიკავეს საპრიზო ადგილები.

ინდიკატორი 4.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

1. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სხვადასხვა კითხვარის გაზიარება ხდება სოციალური ქსელის ჯგუფებში, ასევე სკოლაში ისტ-ის კაბინეტში. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები (შევსებული კითხვარები და გაანალიზებული შედეგები) და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია.

ინდიკატორი 4.2.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო);
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ანალიზი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;
- სასკოლო პროექტების აღმწერი დოკუმენტაცია;
- სკოლის სოციალური გვერდი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. აღნიშნულის ხელშეწყობას ცდილობენ სადამრიგებლო საათის საშუალებით, სადაც დრო ეთმობა პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგ: განხილვა/საუბრები სხვადასხვა პროფესიების შესახებ, ვიზიტები პროფესიულ კოლეჯებში, სადაც მოსწავლეები ადგილზე ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს. ასევე, მოსწავლეებთან და მშობლეთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა იწვევს მოსწავლეთა მშობლებს, აწყობენ მშობლებთან კლასის შეხვედრებს, სადაც მშობლები საუბრობენ თავიანთ პროფესიებზე. გარდა ამისა, მასწავლებლები იყენებენ მოსწავლეთა ინტერესების კითხვარს, რის გათვალისწინებითაც ხდება კლუბებისა თუ პროექტების

განხორციელება. პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა შესაძლებელია სხვადასხვა კლუბური აქტივობითა თუ პროექტით, რომლითაც სკოლა გამოირჩევა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესებისა და უნარების განვითარებას, რაც თავისთავად ეხმარებათ გააზრებული პროფესიული არჩევანის გაკეთებაში. მაგ: STEAM პროექტები და სხვა.

ინდიკატორი 4.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება. თუმცა ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს სხვადასხვა პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. გარდა ამისა, მოსწავლეები თავადაც სტუმრობენ პროფესიულ კოლეჯებს. სკოლის მეილზე ხშირად შემოდის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კარიერულ განვითარებასა და პროფესიულ ორიენტაციას და სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები). სკოლას გაფორმებული/დადებული აქვს მემორანდუმები, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის ურთიერთთანამშრომლობის ფორმებს.

ინდიკატორი 4.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა ინტენსიურად უწყობს ხელს მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვის პროცესს, რასაც ადასტურებს განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები, რაც საჯაროდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სკოლის სოციალურ გვერდზეც. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას აქვს სკოლის საჭიროებისა და პრაქტიკის კვლევების გამოცდილება სხვადასხვა მიმართულებით, სასწავლო წლის დასასრულს სკოლას დაგეგმილი აქვს გაწეული მომსახურების შეფასების მიზნით ჩაატაროს გამოკითხვა საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რამდენად ეფექტური იყო სკოლის აქტივობები პროფორიენტაციის კუთხით და რამდენად იქონია ამან გავლენა მათი მომავალი პროფესიის არჩევაში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 4.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- სადამრიგებლო პროგრამა;

- დამრიგებლის წლიური მოხსენება;
- კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო);
- უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის დადებული მემორანდუმები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლაში შემუშავებულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს, მოქმედ კანონმდებლობასა და მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირებას, საჭიროებების შეფასებას, ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრასა და შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვას. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესი მოიცავს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებას, სპეციალისტების (სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგის) ჩართულობას, კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების კოორდინირებულ მუშაობას. მექანიზმი უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს, სწავლების მეთოდების, მასალებისა და შეფასების ფორმების ადაპტირებას მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აქტიურ კომუნიკაციას და მათ ჩართულობას მხარდაჭერის პროცესში. ასევე ხორციელდება სსსმ მოსწავლეთა პროგრესის რეგულარული მონიტორინგი, მიღწევებისა და სირთულეების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების კორექტირება. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში, თანაბარ ხელმისაწვდომობას საგანმანათლებლო რესურსებზე და ხელს უწყობს მათ აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის წესი, რომლის საფუძველზეც სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლაში ირიცხება 13 სსსმ მოსწავლე, მათი აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნავს 2 სპეც.მასწავლებელი, ხუთი ასისტენტი და საჭიროებისამებრ ფსიქოლოგი.

ინდიკატორი 4.2.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლეთა წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ხორციელდება სასკოლო საზოგადოების წევრების -მასწავლებლების, სპეციალისტების, ადმინისტრაციის, მოსწავლეთა მშობლებისა და საჭიროების შემთხვევაში სხვა დაინტერესებული მხარეების - აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის საჭიროებების მრავალმხრივ გააზრებას და მხარდაჭერის ღონისძიებების ეფექტიან დაგეგმვას.

თანამშრომლობის პროცესში ხდება ინფორმაციის გაზიარება, მოსწავლის წინსვლის მონიტორინგი და მიღწეული შედეგების შეფასება, რაც საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში დროულად მოხდეს მხარდაჭერის სტრატეგიების კორექტირება. სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ემოციური განვითარების მხარდაჭერას და ქმნის ინკლუზიურ, მხარდამჭერ სასკოლო გარემოს.

ექსპერტებთან სსსმ მოსწავლის რამდენიმე მშობელმა გასაუბრებისას დაადასტურა, რომ ისგ ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეზე მორგებულ აქტივობებს, სკოლა უზრუნველყოფს საჭირო რესურსებს და კომუნიკაციას ყველა მხარესთან. მოსწავლეების სკოლაში ხდება დაუნის სინდრომის, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეების აღნიშვნა. ასევე, მშობლებისთვის ტარდება შეხვედრები ცნობადობის ამაღლების მიზნით. აღნიშნულს ინტერვიუს დროს ადასტურებდნენ მშობლებიც. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურსოთახში, ინტეგრირებულ კლასში, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. სკოლას ჰყავს საკმაოდ დიდი რაოდენობის სსსმ მოსწავლე და მათ განათლებაზე ზრუნავს 8 შესაბამისი პროფილის მქონე სპეციალისტი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების ხაზით მუშაობის დოკუმენტური მასალები: ისგ.ჯგუფის ოქმები, ინდივიდუალური გეგმები, მოსწავლეთა პროგრესის ანგარიშები და სხვ.

ინდიკატორი 4.2.3.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლეთათვის პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის წესი ;
- ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ ;
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმები;
- ადაპტირებული სასწავლო პროგრამები და შეფასების ფორმები;
- სსსმ მოსწავლეთა შესახებ ჩანაწერები;
- ინკლუზიური განათლების ჯგუფის შეხვედრების ოქმები;

- სსსმ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგისა და შეფასების ფორმები;
- სასკოლო აქტივობებში სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის მაგალითები;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დაწესებულებაში მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია კვების სერვისი - სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი: ფართი გაცემულია იჯარით და მეიჯარესთან სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. სკოლის მხრიდან ხორციელდება კვების ობიექტის მონიტორინგი.

<u>ხარვეზი:</u> ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N MES 5 23 0001601881 ბრძანების შესაბამისად, საკვებით მომსახურებისთვის ფართის იჯარით გაცემის შემთხვევაში, მეიჯარე ვალდებულია სკოლას წარუდგინოს სურსათის უვნებლობის სააგენტოს მხრიდან განხორციელებული კონტროლის / ინსპექტირების შემოწმების აქტები. <u>ვიზიტის დროს, სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.</u>

<u>შენიშვნა:</u> არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად (დაწესებულებაში მოქმედ კვების ობიექტთან ხელშეკრულების გაუქმება) განსაზღვრულია 30.05.2026.

ინდიკატორის 4.2.4.1. მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურებების მიღება სრულად ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს. აღნიშნული სერვისები შეთანხმებულია მართვის კოლეგიალურ ორგანოებთან, მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებსა და განვითარების ხელშეწყობაზე. სხვადასხვა კლუბი ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური, ფიზიკური, სოციალური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და უზრუნველყოფს თავისუფალი დროის შინაარსიანად გამოყენებას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები მეწარმეობისა და სტემის მიმართულებით;

4.2.4.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ყველა აქტივობა იგეგმება და ხორციელდება მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რაც შეესაბამება როგორც სკოლის ღირებულებებს, ისე მოქმედ კანონმდებლობას. სკოლა მუდმივად აკონტროლებს დამატებითი მომსახურების პროცესს და საჭიროების შემთხვევაში იღებს პრევენციულ ზომებს შესაძლო რისკების თავიდან ასაცილებლად.

ინდიკატორი 4.2.4.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კლუბების დებულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.**

სსიპ ქალაქ თბილისის N 2 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ აღნიშნული დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში ხაზგასმულია პროცესში ჩართულ მხარეების მნიშვნელობა, ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით ხორციელდება. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტშიც ვეცნობით ამავე საკითხის შესახებ, მკაფიოდაა გამოკვეთილი ურთიერთ თანამშრომლობის მნიშვნელობა, კათედრებისა და მასწავლებლების როლი, როგორც კურიკულუმზე მუშაობის პროცესში, ისე მშობლებთან თუ მოსწავლეებთან კომუნიკაციის საკითხებში, ეს ფაქტორები შესაძლებელს ხდის კურიკულუმში გაითვალისწინონ მათი ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ზემოთ აღწერილ პროცესზე მიუთითებს მშობლებსა და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუები, ისინი საუბრობენ გამოკითხვებზე, სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის კითხვარის ფორმებზე, ბავშვები ასახელებენ კონკრეტულ მაგალითებს, იდეებს, რომლებიც წახალისებული იყო სასკოლო საზოგადოების მხრიდან და აისახა კიდევაც სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ ქალაქ თბილისის N 2 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება კურიკულუმს, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და საჭიროებები. შესაბამისობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მაგ: კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, საგნობრივი კურიკულუმებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, პროექტების ამსახველი მასალებითა და კათედრების ოქმებით. აღსანიშნია, რომ თითოეულ დოკუმენტში აღწერილი აქტივობები მიემართება სკოლის ფილოსოფიას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტში მკაფიოდაა გაცხადებული სკოლის პრიორიტეტი, რაც ინკლუზიური

გარემოს შექმნაზეა ორიენტირებული. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს მრავალმხრივ თანამშრომლობას - მშობლებს, საგნის მასწავლებლებსა და სპეციალურ მასწავლებლებსა და ფსიქოლოგს შორის - რაც სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებისა თუ აქტივობების საშუალებით უზრუნველყოფს ერთიანი ინკლუზიური სივრცის ფორმირებას. სკოლა მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებაზე, რისთვისაც მათ სთავაზობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ კურიკულუმებს, მრავალფეროვან რესურსებსა და პროექტებს. სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტურობას განაპირობებს მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან. მასწავლებლები რეგულარულად აწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და სირთულეების შესახებ, ითვალისწინებენ მათ უკუკავშირსაც. აღნიშნულ პროცესს ადასტურებს წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სსიპ ქალაქ თბილისის N 2 საჯარო სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტში - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობდა თითოეული მასწავლებელი, დირექცია, მშობელი და მოსწავლე. ასევე სამივე საფეხურის კათედრების ოქმებში ვეცნობით, რომ მასწავლებლები იკრიბებიან კათედრის შეხვედრებზე, განიხილავენ მიმდინარე პროცესებს, შედეგებს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, ითვალისწინებენ ერთმანეთის, მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია დირექცია/ადმინისტრაცია, კათედრები მათთან შეთანხმებით აორგანიზებენ, ქმნიან კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და გეგმავენ სხვადასხვა ტიპის სასკოლო ღონისძიებებს. (მაგ: თვითმმართველობის ინიციატივები, სასკოლო პროექტი, სხვადასხვა შეჯიბრი, კლუბური აქტივობა.). თითოეულ საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით კათედრის სხდომის ოქმებს, რომელშიც ვკითხულობთ, რომ კურიკულუმები განიხილება კათედრის შეხვედრებზე. იგივე დასტურდება მშობლებთან კრების ოქმებშიც, სადაც მშობლებს აცნობენ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესახებ, აწვდიან ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების ოქმები გვაცნობს, რომ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები და სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლეების მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ერთობლივად გეგმავენ იმ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ინკლუზიური გარემოს ფორმირებას, რაც თავისთავად წარმოადგენს სასწავლო პროცესის, კურიკულუმის განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ თბილის N 2 საჯარო სკოლის საზოგადოებისთვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია რამდენიმე გზით ზიარდება. აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების საერთო შეხვედრები, პედაგოგიური საბჭოს შეხვედრები, მშობელთა კრებები, საჭირო დოკუმენტების საინფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელის გამოყენება, კლასების ე.წ. „ჩათებსა“ და „მესენჯერ“ ჯგუფებში კომუნიკაცია. მასწავლებელთა ნაწილის განცხადებით, საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების ზიარდება მშობლებისთვის, როგორც პირადი კომუნიკაციის ისე მშობელთა კრებების ფორმატით. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლის ფილოსოფია, სასკოლო სასწავლო გეგმა, სამივე საფეხურის კურიკულუმი და სხვა დოკუმენტები. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საზოგადოებაში ვებ-გვერდზე მეტი პოპულარობით სარგებლობს სოციალურ ქსელში არსებული სკოლის გვერდი. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის ოქმები
- სამივე საფეხურის (1-12 კლასი) საგნობრივი კურიკულუმები.
- ინდ გეგმები
- პროექტების ამსახველი დოკუმენტები.

2.1.2.1 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ძირითადად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას სწავლების სამივე საფეხურზე, განსაზღვრულია სასწავლო თემები ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტის გათვალისწინებით, შუალედურ მიზნებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, ელექტრონული რესურსები ეხმარება მოსწავლეებს საკითხის უკეთ გააზრებაში;

	რჩევა: სასურველია რესურსები იყოს მრავალფეროვანი და გამოიყენოთ სხვადასხვა პლატფორმა ცოდნის გაღრმავებისა და გააზრებისათვის; **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. სწავლების სამივე საფეხურზე განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისი სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. შუალედური მიზნები ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ცოდნას და არსებულ მოცემულობას . სასწავლო მასალა, ფაქტობრივი ინფორმაცია, და თემა განიხილება, როგორც კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა . **რჩევა:** სასურველია შუალედური სასწავლო მიზნების ჩარჩო/კურიკულუმებში სკოლის, კლასის საგნის მითითება. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. წარმოდგენილი თემები შეადგენს საფეხურის შესაბამის თემატური ბლოკით განსაზღვრულ შინაარსებს. თემატური ერთეულების ფარგლებში გამოკვეთილი სამიზნე ცნებები, ძირითადი ტექსტები, კონტექსტ-მაგალითები და დაგეგმილი დავალებები იძლევა მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებისა და თვითრეალიზების საშუალებას, რითაც მიიღწევა ეფექტური სწავლა და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა. **რჩევა**: საბაზო საფეხურის იტალიურ ენის კურიკულუმის შემუშავების პროცესში შუალედური მიზნების ეფექტურად განსახორციელებლად სასურველია მრავალფეროვნად იქნეს წარმოდგენილი შემოქმედებითი /პროექტული ტიპის დავალებები **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმი მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. შემუშავებულია ისეთი თემატური ბლოკები, თემები შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. **რჩევა:** საბაზო საფეხურზე, მე-8 კლ მუსიკის კურიკულმში გასათვალისწინებელია დროში მოსწრებადი, განხორციელებადი შემოქმედებითი დავალების რაოდენობა(თემაში ერთი), საათობრივი ბადით განსაზღვრულ საათების რაოდენობასთან მიმართებით.

	ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ-მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **რჩევა** : რჩევა მიემართება სამივე საფეხურს.გაგრძელდეს მუშაობა კურიკულუმზე, გამოიკვეთოს, როგორ შეძლეს ესგ-ით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა ან რა ვერ შეძლეს და აღიშნოს ხელისშემშლელი ფაქტორები. ამისათვის შეიძლება კურიკულუმის ჩარჩოს დაემატოს შენიშვნების გრაფა. ეს ხელს შეუწყობს გამოცდილების გაზიარებას, მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, მათი მიღწევების შეფასებას. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. დოკუმენტში განსაზღვრულია სავალდებულო თემები, შესაბამისი სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებები. **რჩევა:** ყველა საფეხურის კურიკულუმში მიზანშეწონილია რესურსების სვეტის სრულყოფილად შევსება, კერძოდ: სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდების, ელექტრონული მისამართებისა და გამოყენებული თვალსაჩინოებების დეტალური მითითება. ასევე, სასურველია თემების სახელწოდებების ფორმულირება შესაბამისობაში იყოს საგნობრივ სტანდარტთან და კურიკულუმში ნათლად იყოს წარმოდგენილი თემების მიხედვით საათობრივი განაწილება. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ფიზიკური განვითარებას, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევას. კურიკულუმები წარმოადგენენ სტრუქტურირებულ დოკუმენტებს და მოიცავენ ყველა აუცილებელ კომპონენტს.

	ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.
ტექნოლოგიები	კურიკულუმი წარმოდგენილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი, მოსწავლის განვითარება და წინსვლა. თითოეული თემა მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზნებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. გრძელვადიანი მიზნები სტანდარტთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გააზრებულია შედეგები,, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ, მაგრამ გაწერილი უფრო მეტია, ვიდრე რეალურად შესრულებული. **რჩევა:** კურიკულუმში აისახოს მხოლოდ ის შუალედური მიზნები, რაც რეალურად მიღწევადია, ასევე თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება; **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გააზრებულია შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, მიემართება გრძელვადიანი მიზნებს, რასაც უზრუნველყოფს დანერგვის ეფექტური ინსტრუმენტები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები აღქმულია, როგორც გლობალური, ფუნქციური უნარების განვითარებისა და პოზიტიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის საშუალება. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	პირველი და მეორე უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით დგინდება, რომ განსაზღვრულია როგორც გრძელვადიანი, ასევე შუალედური მიზნები და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებთან. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასურველია კათედრამ (როგორც პირველმა, ასევე მეორე უცხოურმა ენამ) იხელმძღვანელოს რევიზირებული საგნობრივი სტანდარტით, რათა განახლებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები კოორდინირებულად იქნეს აღქმული. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია სავალდებულო თემების, თემატური ბლოკების, საკითხების, ცნება/ქვეცნებების დამუშავება, შუალედურ მიზნად მოაზრებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით მოსწავლეს უვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, კერძოდ: მოსწავლეები აქტივობების შესრულების დროს აფასებენ ქმედებებს, მონაწილეობენ დისკუსიაში, აკავშირებენ ნასწავლთან თუ საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, ადგენენ კანონზომიერებებს. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ეფექტურად ემსახურება გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ-მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის ტრანსფერში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. გაწერილი შემოქმედებითი ხასიათის დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზნებზე. კურიკულუმში შეტანილი დავალებების გარდა, განხორციელებულია სხვა შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც ასევე ემსახურება შუალედური მიზნების მიღწევას.

	რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში აისახოს სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი ბუნების დავალება, რომელიც აკონკრეტებს შემოქმედებით პროდუქტს და მიმართულია შუალედური მიზნების მიღწევისაკენ. **დაწყებითი საფეხურის,** კერძოდ **III კლასის** კურიკულუმში, დაკორექტირდეს პირველი და მეორე თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულემები სრულ შესაბამისობაშია ესგ-ის სტანდარტთან. დოკუმტაცია მკაფიოდ ჩანს კავშირი თემებს, საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის. კურიკულუმები დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება, კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოწოდებული კურიკულუმები მოიცავს ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. საგნის მასწავლებელს გააზრებული აქვს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანეთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. **რჩევა:** ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში(I-II კლასი) დააკონკრეტეთ კონკრეტული დავალებით რომელი სამიზნე ცნება მუშავდება, ასევე გამოყავით ამავე ცნების კონკრეტული ქვეცნებები. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრისთვის ძირითად რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელო და ტელესკოლის გაკვეთილები, სასურველია

	რესურსების გამდიდრება და სხვადასხვა პლატფორმის გამოყენება, რომ მოსწავლისათვის მასალა უფრო ადვილად აღქმადი გახდეს. **რჩევა:** გადამოწმდეს არსებული ელექტრონული რესურსები /ბმულების ფუნქციონალი, ზოგიერთი მათგანი არ იხსნება, გამდიდრდეს რესურსების ბანკი იქ, სადაც ისინი მწირად არის წარმოდგენილი; **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებული ძირითადი სასწავლო რესურსები - გრიფირებული სახელმძღვანელოები , ელექტრონული რესურსი ბმულებით, შესაბამისობაშია დაგეგმილ აქტივობებსა და მიმდინარე დავალებებთან, რომლებიც საშუალებას იძლევა სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა**: სასურველია ელექტრონული რესუსების ხელახლა გადახედვა. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოებია. ამასთანავე კათედრას წამოდგენილი აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მასალები, რაც არსებით როლს ასრულებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, ასაკისა და ენის დონის შესაბამისი რესურსები, ეს კი ეხმარება მოსწავლეს უნარების განვითარებასა და მოტივაციის შენარჩუნებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს რესურსები ხელმისაწვდომი და მრავალმხრივია და ვალიდირებული სკოლის მიერ. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსებით - გრიფირებული სახელმძღვანელოებით სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, ასევე ელექტრონული ბმულებით, შესაბამისი რესურსების შერჩევით- აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვით შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევა.შესაბამისი რესურსების გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **რჩევა:** მუსიკის კურიკულუმში, სასწავლო რესურსების სვეტში ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული გვერდები გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან. სასურველია კონკრეტულად ჩანდეს სახელმძღვანელოში არსებული თემა და საკითხი რომელ გვერდებს მოიცავს. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის სასწავლო კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები - როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე მასალები (სხვადასხვა ციფრული თუ

	მატერიალური რესურსები). აღნიშნული რესურსები მიზნად ისახავს საგნობრივი სტანდარტების ეფექტიანად მიღწევას, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას. სკოლამ წარმოადგინა ასევე მოსწავლეთაა და მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსები, საგანმანათლებლო თამაშები, კომიქსები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული რესურსები, დამხმარე ლიტერატურა და თვალსაჩინოებები, წარმოდგენილია მოსწავლეთა მიერ კონკრეტულ თემებზე შექმნილი რესურსები. **რჩევა: სამივე საფეხურის** კურიკულუმში სრულად აისახოს ყველა გამოყენებული რესურსი, ასევე მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე, კურიკულუმებში წარმოდგენილია ონლაინ რესურსები და ვიდეო-ბმულები. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სტანდარტებით გათვალისწინებული კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების რაოდენობასთან შესაბამისად. ასევე, სკოლას გააჩნია დამხმარე რესურსები, ბროშურები, პროექტორი და ა.შ. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეო-გაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმების დათვალერებისას და პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური, გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობა, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. ამას მოწმობს არაერთი შემოქმედებითი დავალების ამსახველი მოსწავლეთა ნაშრომები, სკოლის სოციალურ ქსელში გაზიარებული აქტივობები. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში იკვეთება ჰოლისტური მიდგომა, მოცემულ კონკრეტული დავალებებში ჩანს მოქნილობა და კომპლექსურობა , რაც ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობის ზრდას , მისი განვითარების დინამიკისა და პროგრესის გამოვლენას. კურიკულუმში მოცემული დავალებების კომპლექსური ბუნება და მრავალფეროვნება თავისთავად სწავლების დიფერენცირებული მიდგომის გამოხატულებაა, სადაც მოსწვალეს აქვს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მისთვის ეფექტური საშუალებით. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო გეგმებში არის გათვალისწინებული სხვადასხვა დონეზე და უნარებზე მორგებული დავალებები, ინდივიდუალური მხარდაჭერა და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობები. ეს ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტეგრაციას და მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში, კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები მოსწავლეს აძლევს საშუალებას თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. დავალებები მრავალფეროვანია და ეყრდნობა მოსწავლის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს, ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი დავალებები, აქტივობები, რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ

	საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული დავალებები შეესაბამება დასახულ სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ სწავლას. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კათედრა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს და სწავლების სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური ტემპით განვითარებას. მასწავლებლები არეგულირებენ ფიზიკურ დატვირთვას, სთავაზობენ მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის დავალებებს, განსხვავებულ მოცულობის და ინტენსივობის ფიზიკურ აქტივობებს, მოძრაობითი მოქმედებების გამეორების განსხვავებულ რაოდენობას და სხვ. სკოლამ გადმოაგზავნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მაგალითი. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება ინკლუზიურობა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს დააფიქსირა, რომ მოსწავლისადმი მიდგომა ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ხდება. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ დოკუმენტებში და გასაუბრებითაც დასტურდება , რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას მოსწავლეებთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. შესაძლებლობების ფარგლებში ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. პირველადად წარმოდგენილი და დამატებით მტკიცებულების ნუსხაში შეფასებების რუბრიკები იყო მრავალფეროვანი. **რჩევა:** სასურველია კათედრაზე შეთანხმებულად შემუშავდეს შეფასების ერთიანი ფორმა, რომელშიც სამიზნე ცნებების გააზრების დონე უფრო გაზომვადი იქნება. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით. მიზანი განსაზღვრავს როგორც შეფასების შინაარსს , ასევე პროცესს, რომლითაც ეს შედეგი მიიღწევა. შეფასების ინსტრუმენტები, ითვალისწინებს ერთ მხირვ საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მეორე მხრივ მოსწავლეების ინტერესებს, გამოცდილებასა დროში პროგრესის განსაზღვრას. **რჩევა:** სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გადაიხედოს და დაიხვეწოს . შეფასების რუბრიკებში უფრო კონკრეტულად და ნათლად აისახოს, შეფასების აღმწერი კრიტერიუმები. მიღწეული შედეგების გასაზომად. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან. წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი (სამკომპონენტიანი) შეფასების რუბრიკები, ასევე განმავითარებელი შეფასების ნიმუშები როგორც პირველ, ასევე მეორე უცხოურ ენებში. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების ობიექტურობას. **რჩევა:** სასურველია შეფასების სისტემა კორელაციაში იყოს სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და თემის ინდიკატორებთან, აქედან გამომდინარე კარგი იქნება, მუსიკის საგანში დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასი) განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გადაიხედოს და უფრო დაიხვეწოს . ასევე სასურველია მუშაობა გააგრძელონ შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ ყველა საფეხურზე კონკრეტული დავალების / აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	ქართული ენასა და ლიტერატურის კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ძირითადად შეესაბამება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს მოსწავლეთა შედეგები. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე, თუ რით იხელმძღვანელებენ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ გაითვალისწინებენ პირველ რიგში კონკრეტული დავალების ხასიათს, თუ რას ამოწმებს ეს კრიტერიუმები: გაგება-გააზრებას, ლექსიკას, ესეს, პრეზენტაციას კონკრეტულ გრამატიკულ თუ ლექსიკური ცოდნას. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** ქართული ენასა და ლიტერატურის კათედრამ შეიმუშაოს ქართული ენასა და ლიტერატურის სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები კონკრეტული დავალებებისთვის. ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა.
მათემატიკა	შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების მიდგომები, რაც ხელს უწყობს როგორც სწავლის შედეგების შემოწმებას. შეფასების პროცესში გამოყენებულია კრიტერიუმებზე დაფუძნებული რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და გამჭვირვალობას, ხოლო განმავითარებელი უკუკავშირი ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესისა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობაზე. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნებების მიხედვით, თემებთან მიხედვით (მაგ., მძლეოსნობის ელემენტები, კალათბურთი, ფეხბურთი). ფასდება როგროც ზოგადი მოტორული უნარებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების დონე, ასევე, მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო პროცესში. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაზე. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	შეფასების მეთოდები შეესაბამება ესგ მიზნებს. მოწოდებული დოკუმენტაცია და მასწავლებლის ინტერვიუ ცხადყოფს, რომ შეფასების მეთოდების შემუშავებისას ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინება.

	ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში (ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული, უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული). ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს. **რჩევა:** განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნა დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას გულისხმობს. აღნიშნული რუბრიკა სწორედ ამ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები;
- საერთაშორისო პროექტის გეგმა და ანგარიში;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები;
- დიფერენცირებული სწავლების ნიმუში- გაკვეთილის გეგმა რუსულ ენაში;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დამატებითი რესურსების ბანკი.
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები
- კათედრის ოქმები
- კომპლექსური ბუნების დავალებების დანართი
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული.
- მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები(ფოტო მასალა)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. 1სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესების ამსახველი მასალები შეესაბამება სასკოლო კურიკულუმებს, მოსწავლეთა ნაშრომები კურიკულუმში ასახული შემოქმედებითი დავალებების შესაბამისია. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი ეფუძნება სასკოლო კურიკულუმს და მისი დაგეგმვა ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები ფორმალური და არაფორმალური განათლების პროცესში შემოქმედებითი ბუნებისაა და ხელს უწყობს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლებას . ისინი საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მაგ.

	მოსწავლეები არეგისტრირებენ საწარმოს ,იციან მეწარმეობის სამართლებრივი ნორმები და წერენ ბიზნეს -გეგმას, რაც მეწარმეობის /ანტრეპრენერობის უნარის დადასტურებაა. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	პირველ და მეორე უცხოურ ენებში აქტივობები დაგეგმილია და ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების და საკითხების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შემაჯამებელი დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები სრულ თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმთან. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. **ინდიკატორი 2.2.1.1.დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი თითოეულ საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმთან შესაბამისობაში განხორციელებულია თემებისა და სამიზნე ცნებების სისტემური დამუშავება. თემების მიხედვით შესრულებულია როგორც შემაჯამებელი სამუშაოები, ისე შემოქმედებითი ხასიათის დავალებები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ და მიზანმიმართულ განხორციელებას. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი მთლიანად ეფუძნება სასკოლო კურიკულუმს და მისი დაგეგმვა ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. შემაჯამებელი გაკვეთილების ფარგლებში ტარდება სასკოლო ფესტივალები (დაწყებით საფეხურზე - მხიარული სტარტები, საბაო/საშუალოზე ორმხრივი თამაშები). **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილი და შემუშავებულია კათედრის დონეზე და

	ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამის შესახებ მასწავლებლის ინტერვიუშიც გამოიკვეთა. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, რაც ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დადასტურდა ინტერვიუს დროსაც. **ინდიკატორი2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სსიპ ქალაქ თბილისის N 2 საჯარო სკოლას მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დროული გამოვლენისა და ეფექტური რეაგირებისთვის შექმნილია სხვადასხვა სახის დოკუმენტი. ზოგადად, სასწავლო პროცესი წარმოადგენს ცოცხალ პროცესს, რომელიც საჭიროებს მოქნილობას. სკოლის დირექცია მუდმივად მზად არის მხარი დაუჭიროს მასწავლებლებს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის, იქნება ეს რესურსებით ხელშეწყობა, ტრენინგების დაგეგმვა, ღონისძიებების ორგანიზება თუ სხვა, იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებს სკოლას მოცემულ მომენტში. გარდა ამისა, მასწავლებლები მოქნილად იყენებენ საგნობრივ კურიკულუმებს და შეაქვთ მასში ცვლილებები. აღნიშნული საკითხი, დასტურდება, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმის დოკუმენტი, მოსწავლის ადაპტაციის წესი, ინტერვენციის გეგმები, ინდივიდუალური საჭიროების გეგმები), ისე სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგად.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, მრავალფეროვანი და იძლევა საშუალებას შეფასდეს ეროვნული სასწავლო მიზნების შესაბამისი ცოდნა.

	რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკებში მისაღწევი შედეგების გაზომვა უფრო თვალსაჩინოდ იყოს შესაძლებელი. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიც სამიზნე ცნებებს უნდა მიემართებოდეს. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში აღწერილი სასწავლო პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების/აქტივობების , მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის მიხედვით ჩანს ,რომ მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **რჩევა:** სასურველია ყველა კლასში წარმოდგენილი იყოს უფრო დაზუსტებული, კონკრეტული დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოურ ენების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები აკმაყოფილებს ინდიკატორში წარმოდგენილ მოთხოვნებს. შეფასების სისტემა ობიექტურია, ყველა მოსწავლე ერთნაირი შედეგების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება როგორც გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), ასევე თემის ფარგლებში შესასწავლ კონკრეტულ ქვეცნებებსა თუ საკითხებს. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაში ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომელიც ცხადყოფს რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია. შეფასება უმეტესწილად არის მრავალფეროვანი ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური. **რჩევა:** სასურველია, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანსა და მუსიკაში შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები აღწერდეს მოსწავლის მიღწევებს ცნებებთან, ქვეცნებებთან, შესასწავლ თემასთან და დასამუშავებელ საკითხთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელი შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მეთოდები - ტესტები, პროექტები, ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, რაც უზრუნველყოფს

	პროცესის სანდოობას და ობიექტურობას. მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მიზნებს, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. წარმოდგენილ შემაჯამებელ და შემოქმედებით დავალებებს ახლავს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც, ინტერვიუს მიხედვით, მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ზრდის ნდობას. **რჩევა:** დავალებებში მკაფიოდ იყოს მითითებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, რაც ნათელს გახდის შეფასების ვალიდურობას. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება სამიზნე ცნებებს და კონკრეტულ თემებს. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის რუბრიკები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლის მიერ მოწოდებულ რუბრიკებში ნათლად იკვეთება ყოველივე ეს. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ზოგადი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის კონტროლს, თანამიმდევრულობასა და ობიექტურობას. ვერიფიკაცია ხორციელდება შიდა მონიტორინგის, განხილვების, ადმინისტრაციისა და კათედრების ჩართულობით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისას ხაზი გაესვა, რომ აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს სუბიექტურად შეფასების რისკის შემცირებას, შეფასების ერთიანი სტანდარტების დაცვას და პროცესის მუდმივად გაუმჯობესებას.

სკოლას მიეცა რჩევა: საგნობრივი კათედრების დონეზე შემუშავდეს შეფასების სისტემის კონკრეტული ინსტრუმენტები, რაც უფრო მკაფიოდ გამოკვეთს მუშაობის პროცესს,

მოსწავლის მიღწევებს და გასაუმჯობესებელს მხარეებს, სასწავლო პროცესის ეფექტურობას ან პირიქით, არაეფექტურობას. სკოლას საკუთარი ხედვისამებრ შეუძლია შეიმუშავოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის კონკრეტული მექანიზმები მაგ: შემაჯამებლების ანალიზის ფორმები, ურთიერთდასწრების ფორმები, დიაგნოსტიკური წერები, მასწავლებლის სასწავლო პროცესის ანგარიშები/ თვითრეფლექსიები, კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტი, რითაც გამოკვეთს წლის განმავლობაში დანერგილი შემოქმედებითი ბუნების დავალებებიდან რომელი იყო ეფექტური ან პირიქით, წარუმატებელი პრაქტიკა, მსგავსი ტიპის ინსტრუმენტების გამოყენების, ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ეფექტურად განავითაროთ თქვენი სასწავლო კურიკულუმები წლიდან წლამდე.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სსიპ ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემის, დოკუმენტაციისა და მტკიცებულების სისტემურ აღრიცხვასა და უსაფრთხო შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასების მასალები ინახება, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით. დაცულია პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა და ხელმისაწვდომობა მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის.

აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, კონტროლს და საჭიროების შემთხვევაში მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ყველა საგნის კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კომპლექსური/ შემოქმედებითი ბუნების დავალებების ნიმუშები/დანართები
- ტურნირის ანგარიში
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები;
- კომპლექსური დავალების ბარათების ნიმუშები.
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- დიაგნოსტიკური წერის ანალიზი;
- პროექტის გეგმა და შედეგების ანალიზი
- ვერიფიკაციის ზოგადი ინსტრუმენტი

2.2.2.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმების უმეტესობაში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები. ძირითად რესურსად სახელმძღვანელოს კონკრეტული გვერდებია მითითებული, დამხმარე რესურსებად კი სხვადასხვა ონლაინ რესურსები. **რჩევა:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ყველა თემას შეესაბამებოდეს ძირითად რესურსთან ერთად დამხმარე რესურსების მატერიალური ჩამონათვალი და ონლაინ რესურსების გააქტივებული ლინკები. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებული ძირითადი რესურსი/ გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, შესაბამისი ელექტრონული რესურსები გამოყენებულია სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	კათედრას წარმოდგენილი აქვს ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და დამხმარე სასწავლო რესურსები როგორც კურიკულუმში, ასევე დამატებითი დოკუმენტის სახით. რესურსების გამოყენება დასტურდება საკლასო თუ სასკოლო აქტივობებთან მიმართებით , მათ შორის საერთაშორისო ი-თვინინგ პროექტის განხორციელებისას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე ძირითადად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს შესაბამისი აუდიო და ვიდეო აპარატურა, კომპიუტერი, ხმის გამაძლიერებელი დინამიკი, პროექტორი. **რჩევა**: მუსიკის კურიკულუმში, სასწავლო რესურსების სვეტში ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული გვერდები გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან. სასურველია კონკრეტულად ჩანდეს სახელმძღვანელოში არსებული თემა და საკითხი რომელ გვერდებს მოიცავს. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები. გამოყენებულია როგორც სახელმძღვანელოები, ისე მრავალფეროვანი დამატებითი მასალები- სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ინტერნეტრესურსები, რომლებიც აძლიერებს სწავლების დინამიკურობასა და მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები სრულად შეესაბამება საგნის თემატიკას და ორიენტირებულია მოსწავლეთა მიერ მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე. **რჩევა: ყველა საფეხურის** კურიკულუმში დეტალურად აისახოს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები; კერძოდ, მიეთითოს სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდები, დაზუსტდეს გამოყენებული ელექტრონული წყაროების (ბმულების) მისამართები, შეიტანონ გამოყენებული მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**
სპორტი	საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, შესაბამისი ელექტრონული რესურსები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველა რესურსი, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და დამხმარე ტექნიკა. მასწავლებლის ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლის ხელთ არსებული რესურსი და ასევე ინტერნეტ რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში. ესაა დამხმარე ტექსტები, სახელმძღვანელოსთან ერთად, ისე სასწავლო თემებთან შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალა, როგორებიცაა ანიმაციური, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს იმაზე, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან ერთად მიზნობრივად იყენებენ მათ. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის კოლეგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი რესურსების არჩევისას კათედრაზე პირველი სხდომისას არჩევენ ვალიდურ სასწავლო რესურსებს, რომელთა ჩამონათვალსაც ათანხმებენ ერთმანეთთან. ყველა რესურსი არის მიზნობრივი, უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო მიზნების მოთხოვნების უკეთ გააზრებას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის მექანიზმი. რესურსების შერჩევა და შეფასება ხდება კათედრაზე რამდენიმე კრიტერიუმით: შესაბამისობა სტანდარტთან, აკადემიური სანდოობა, ეთიკურობა და მეთოდოლოგიური გამართულობა სკოლა იღებს პასუხისმგებლობას იმ მასალების ხარისხზე, რომლებსაც მოსწავლეები ძირითადი სახელმძღვანელოების გარდა იყენებენ. **რჩევა**: სასურველია კათედრის მიერ გადასინჯული და განახლებული იყოს ციფრული /მულტიმედიური რესურსები, როგორც ენობრივად ისე ხანდაზმულობის თვალსაზრისით. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით დგინდება, რომ თითოეული კათედრა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას და ასახავს კათედრის ოქმებში.

	ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულია დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლის ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ლინკები მოცემულია კურიკულუმებში). ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე, თუ რა პრინციპებით და როგორ ადგენენ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს, მასწავლებლებმა უპასუხეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ერთად იკრიბებიან და მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ადგენენ ამა თუ იმ დამხმარე რესურსის შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში (თემა, მიზნები და ა.შ.) **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის მექანიზმი. რესურსების შერჩევა და მათი თავსებადობის განსაზღვრა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან კათედრების დონეზე ხდება. აღნიშნული მასალები მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, არის მეთოდოლოგიურად გამართული და სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროცესის თანამედროვე გამოწვევებს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრაზე განხილვის შედეგად. სკოლაში მოქმედებს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის მექანიზმი. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა სწავლის პროცესში ელექტრონული სახელმძღვანელოს გარდა იყენებს შემუშავებულ რესურსებს, ელექტრონული და მატერიალური სახით. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება რესურსების ესგ-ისთან შესაბამისობა, მოწმდება ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების

	მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას აქვს სამი კაბინეტი: ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის. აქედან ფუნქციონირებს ფიზიკისა და ბიოლოგიის კაბინეტები, ხოლო ქიმიის კაბინეტი დალუქულია სარემონტო მდგომარეობის გამო. ქიმიის ლაბორატორიის ინვენტარის ნაწილი შეტანილია ბიოლოგიის კაბინეტში, სადაც მცირედი რესურსებითა და მასალებით უზრუნველყოფენ ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას. ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები აღჭურვილია მრავალფეროვანი რესურსით, მულაჟებითა და სადემონსტრაციო მასალებით, რომლებსაც სკოლა მრავალი წლის მანძილზე ინახავს. სამივე კაბინეტი სარეაბილიტაციოა, დაზიანებულია იატაკები და კედლები. არც ერთ მათგანში არ არის დამონტაჟებული ამწოვი კარადა / სავენტილაციო სისტემა. **ხარვეზი (საბაზო და საშუალო საფეხურებზე):** საბუნებისმეტყველო კაბინეტი არ არის აღჭურვილი ამწოვი კარადით / სავენტილაციო სისტემით. შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ამწოვი კარადით / სავენტილაციო სისტემით აღჭურვის ვადად განსაზღვრულია 2027 წლის აპრილის თვე. **ინდიკატორი 2.2.2.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ დადასტურებულია, რომ სკოლის ფიზიკური გარემო და აღჭურვილობა პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას და ხელს უწყობს იმ უნარების განვითარებას , რასაც ეროვნული სასწავლო გეგმა მოითხოვს.

	მაგ,სკოლაში არის სკოლაში არის გრიფირებული სახელმძღვანელოები ,საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები და კარტოგრაფიული მასალა ,ტექნოლოგიური აღჭურვილობა, სივრცე აქტიური სწავლებისთვის და ა.შ **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უცხოურ ენებში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით. ეს საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი კომპიუტერები, ინტერნეტი და რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა საკმარისია კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის განხილვისა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სათანადო მატერიალური რესურსით, რომელიც პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას და მათთვის ხელმისაწვდომია. კურიკულუმებში ასახულია სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ელექტრონული რესურსების გამოყენების პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მრავალფეროვნებას. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლას გააჩნია დახურული სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი. ასევე, სკოლას აქვს ის მატერიალური რესურსი (სპორტული ინვენტარი), რომელიც მითითებულია კურიკულუმებში (მაგ., ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის ბურთები, ნიშნულები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები, ჩოგნები, ტანვარჯიშული ლეიბები, ჰულა-ჰუპები და სხვ.) საგანმანათლებლო რესურსიც მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნული იკვეთება სკოლის თვითშეფასების ფორმაშიც, მათ შორის ადასტურებს

	საგნის მასწავლებელიც. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წვდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ ქალაქ თბილისის N 2 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის სისტემა, რაც უზრუნველყოფს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას, გამოცდილების გაზიარებას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ინოვაციური პრაქტიკის დანერგვას. წამყვანი მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული, როგორც ახალბედა მასწავლებლების მხარდაჭერაში, ასევე კოლეგების კონსულტირებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ საქმიანობაში. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისთვის საჭირო ადამიანურ რესურსს (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები), რაც ხელს უწყობს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. ადმინისტრაცია სისტემატურად ზრუნავს პერსონალის შერჩევაზე, მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტობას, ხარისხსა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი , ასევე, მართვის მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში თანამშრომელთა პირადი საქმეების და eschool-ის ბაზის გაცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

- პედაგოგთა სია კვალიფიკაციის მიხედვით;
- ვაკანსიის გამოცხადების ოქმები;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ყველა საგნის კურიკულუმები;
- საერთაშორისო პროექტის გეგმა და ანგარიში;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დამატებითი რესურსების ბანკი;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სპორტისა და ესთეტიკის კათედრის ოქმი;
- შემაჯამებელი დავალებები, ანალიზი;
- კათედრის ოქმები;
- კომპლექსური დავალებების მაგალითები;
- სპორტული ინვენტარის ფოტომასალა;
- შესრულებული შემოქმედებითი დავალების ფოტომასალა;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები;
- ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების და ელექტრონული ბმულების ნუსხა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. 1მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ ქალაქ თბილისის N 2 საჯარო სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ასევე, თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ სამივე საფეხურის სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სკოლის კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად და წარმოადგენს სისტემურ, დაგეგმილ და უწყვეტ პროცესს. მონიტორინგი მოიცავს გაკვეთილებზე დაკვირვებას, სასწავლო დოკუმენტაციის ანალიზს, შეფასების ინსტრუმენტების გადახედვას, მოსწავლეთა მიღწევების და პროგრესის შესწავლას. პროცესში ჩართულია ადმინისტრაცია, ყველა მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს მონიტორინგის ობიექტურობასა და ხარისხს.

სკოლას მიეცა რჩევა: სასწავლო პროცესზე დაკვირვების, მონიტორინგისა და ანალიზის შედეგები აისახოს კათედრის მიერ შემუშავებული ფორმით. შემუშავებულ კურიკულუმთან მიმართებით შეფასდეს რეალური სასწავლო პროცესი, გამოიკვეთოს სწავლების პროცესში რა აღმოჩნდა ეფექტური, როგორია მოსწავლეთა მიღწევები, რა პრობლემები გამოიკვეთა, დაისახოს პრობლემის მოგვარების გზები, სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე აისახოს ცვლილებები საგნობრივ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში შეფასება ხორციელდება რამდენიმე მექანიზმით, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ვერიფიკაციის მექანიზმი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების რუბრიკები).

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. აღნიშნული დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით , სადაც ჩანს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი, საუბარია კურიკულუმებზე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და ხარისხზე, იმაზე რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება იმას, რომ შემოწმდეს თუ რამდენად სწორადაა

შერჩეული სწავლების მეთოდები, რესურსები, შეფასების რუბრიკები, რამდენად შესაბამისობაშია დაწერილი და განხორციელებული კურიკულუმები ერთმანეთთან.

მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის კითხვარში შეკითხვათა ნაწილი ეხმიანება მასწავლებლისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის პროფესიული განვითარება, პროფესიული განვითარებების გზები და სხვა.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით და ვერიფიკაციის მექანიზმი.). გარდა ამისა, გასაუბრებისას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ურთიერთდასწრების კომპონენტი, კათედრის შეხვედრები და იმის განხილვა თუ რა განხორციელდა წარმატებით, რა იყო მათთვის ხელისშემშლელი, რა უნდა დაიგეგმოს განსხვავებულად, როგორ გააუმჯობესონ სუსტი მხარეები და როგორ განამტკიცონ ძლიერი მხარეები. აღნიშნულს ადასტურებს კათედრის პორტფოლიოები. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა და სკოლის დირექციამ აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან მხარი დაუჭირონ ერთმანეთს და ურთიერთთანამშრომლობით გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი. დირექცია საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მასწავლებლების მხარდაჭერას რესურსებით, საგანმანათლებლო ტრენინგებითა და გადამზადების კურსებით. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2.1 სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა და წინსვლის შეფასება ეფუძნება კომპლექსურ, მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობას გულისხმობს. მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება როგორც შემაჯამებელი დავალებების, ისე განმსაზღვრელი და განმავითარებელი კომპონენტების საშუალებით, პარალელურად კი მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების შესწავლა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების გზითა და პროექტული სწავლებით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაზო-საშუალო საფეხურს, სადაც შეფასება შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. აღნიშნული პროცესი დეტალურადაა გაწერილი სასკოლო სასწავლო გეგმაში და მოიცავს აქტივობების ფართო არეალს - საკლასო და პრაქტიკულ სამუშაოების, შემოქმედებითი ბუნების დავალებებსა და პროექტებს.

სკოლას მიეცა რჩევა: სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენოს კვლევის სხვადასხვა მეთოდი მაგ: კითხვარები მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს არსებული გამოწვევები და დაისახოს განვითარების გზები. დიაგნოსტიკური დავალებები, დაკვირვების ჩანაწერები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები წარმოაჩენს სასწავლო პროცესის მკაფიო ანალიზს და უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასება ხორციელდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. სასწავლო წლის სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული შემაჯამებელების, განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასებების საშუალებით. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება კომპლექსურია და ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, სოციალურ-ემოციური მდგომარეობა, ოჯახური გარემო, კულტურული კონტექსტი და უშუალოდ სასწავლო გარემო. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლის აკადემიური შედეგები მჭიდრო კავშირშია მის ზოგად კეთილდღეობასთან, მოტივაციასა და თვითშეფასებასთან. შესაბამისად, შეფასების სისტემა არ არის ერთგანზომილებიანი; იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური მიღწევების აღნუსხვით და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სასკოლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობას და ობიექტურობას. გამოყენებული მიდგომები იძლევა შესაძლებლობას, მრავალმხრივად გაანალიზდეს როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო გარემო, ასევე პროცესში ჩართული მხარეების გამოცდილება და შედეგები.

აღნიშნული ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უფრო სიღრმისეულ და კომპლექსურ წარმართვას. **სკოლას მიეცეს რჩევა:** სასურველია ტრადიციულ მეთოდებთან ერთად უფრო აქტიურად გამოიყენოს დაკვირვება სასწავლო პროცესზე, ფოკუს-ჯგუფები მოსწავლეებთან, მშობლებთან და პედაგოგებთან, ანონიმური კითხვარები, ინტერვიუები, დოკუმენტაციის სისტემური ანალიზი, ასევე სასწავლო მიღწევებისა და ჩართულობის რაოდენობრივი მონაცემების შესწავლა. აღნიშნული ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უფრო სიღრმისეულ და კომპლექსურ წარმართვას.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება ჰოლისტურ მიდგომას, რაც გულისხმობს პიროვნული განვითარებისა და სწავლის პროცესის კომპლექსურ მხარდაჭერას. შეფასებისას გათვალისწინებულია მრავალი ფაქტორი: საგნობრივი შინაარსის ათვისების დონე, აზროვნებისა და დასაბუთების უნარები, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ჩვევები, ასევე მოსწავლის მოტივაცია, ჩართულობა და პასუხისმგებლობა. მასწავლებლები, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და შესაბამისი უკუკავშირით, ორიენტირებულნი არიან არა მხოლოდ აკადემიური შედეგის ფიქსაციაზე, არამედ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე. ამ მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, ჰოლისტური შეფასების რუბრიკებსა და ურთიერთ-თვითშეფასების მექანიზმებს.

საგნობრივი სპეციფიკის მიხედვით შემუშავებული რუბრიკები მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ფუნქციურ უნარებს. მაგალითად, ანალიტიკური წერისა თუ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ მსჯელობის უნარს, პრობლემის გააზრებას, ენობრივი სტრუქტურებისა და მხატვრული ხერხების გამოყენებას, აგრეთვე დროის მართვას როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მუშაობისას. სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებსა და გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც სრულ თანხვედრაშია ესგ-სა და ზგემ-ის მიზნებთან.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- კათედრის ანგარიშები
- შეფასების ინსტრუმენტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის გასული წლის სასწავლო პროცესებისა და დანერგვის პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზი. ეს პროცესი მოიცავს მოსწავლეთა ჩართულობის, აკადემიური შედეგებისა და სწავლების მეთოდოლოგიის ეფექტიანობის შეფასებას. მასწავლებელთა მიერ განხორციელებული სისტემატური მონიტორინგი საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც შემდგომში გადამუშავებული და გაუმჯობესებული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველი ხდება.

კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება მასწავლებელთა შორის პროფესიული გამოცდილებისა და მიგნებების გაზიარებას. კათედრების სხდომებზე რეგულარულად განიხილება საუკეთესო პრაქტიკა, მიმდინარე გამოწვევები და ურთიერთდასწრების შედეგები. ამავდროულად, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა თუ შეჯამების ეტაპზე აქტიურად ხდება მშობელთა უკუკავშირის გათვალისწინება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა.

აღნიშნული კომპლექსური მუშაობის შედეგად, სკოლა გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი სარეკომენდაციო ხასიათის პაკეტი, რომელიც ასახავს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო პრიორიტეტებს. რეკომენდაციების ყოველდღიურ სასწავლო პრაქტიკაში ეფექტური ინტეგრირების მიზნით, დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული ფორმით და გადაეგზავნება სკოლის ყველა პედაგოგს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლასა და სწავლების ხარისხის ერთიან სტანდარტს.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავება და სრულყოფა განიხილება, როგორც უწყვეტი და ციკლური პროცესი, რომელიც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. ეს პროცესი ეფუძნება როგორც ინდივიდუალურ პედაგოგიურ გამოცდილებას, ისე კოლეგიალურ თანამშრომლობას. კურიკულუმის გადამუშავებისას მასწავლებლები სიღრმისეულად აანალიზებენ საკუთარ პრაქტიკას, მოსწავლეთა აკადემიურ მაჩვენებლებს, სწავლის პროცესში გამოკვეთილ სირთულეებსა და კოლეგების მიერ გაზიარებულ წარმატებულ სტრატეგიებს. ამ სისტემის განუყოფელი ნაწილია მონიტორინგი და შეფასება, რაც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს, რამდენად შეესაბამება მიმდინარე აქტივობები დასახულ მიზნებსა და დაგეგმილ ჩარჩოს.

კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში და ეყრდნობა კათედრებსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის მჭიდრო კომუნიკაციას. კვლევისა და შეფასების პროცესი წარიმართება წინასწარ შეთანხმებული ფორმატით, განსაზღვრულ ვადებში და მოიცავს სამ სტრატეგიულ მიმართულებას:

პირველ რიგში, ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით, რაც სწავლის პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებისა და მათი დროული აღმოფხვრის საშუალებას იძლევა. მეორე მიმართულება ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე სკოლის ბაზაზე, სადაც პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა ხდება უშუალო სამუშაო გარემოში. მესამე, ინსტიტუციური განვითარების დონეზე, სკოლა ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებასა და ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლებაზე. ამგვარი სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს კურიკულუმის არა მხოლოდ ფორმალურ არსებობას, არამედ მის რეალურ გავლენას სწავლების ხარისხზე.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 18.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ქეთევან ბაცანკალაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარიამ ღუბელაძე:

ქეთევან ქობალია:

ლია სვიმონიშვილი:

ეკატერინე მაკარიძე:

თემური კურცხალია:

ნინო თამარაშვილი:

მერი ბეჟუაშვილი

რუსუდან არზიანი:

ლამზირა აფაქიძე

ლელა გაბისონია